კვირა, 9 მარტი 1930 წ. № 9 (94) ფასი 10 კაპ.

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

12 550




ცოლი (ქმარს) შეხედე, რა უცნაური წითელი ვარსკვლავია?!
ქმარი (ცოლს) წავიდეთ, წავიდეთ! მისი სხივები თვალებს წაგვიხდენს.

# კესას ნაამბობი

ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის ჩასატარებლად ს. ხარბეთში გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც ვიყავი. ხარბეთლებს გრანდიოზული მიტინგი გაემართათ. ჩვენს გამოჩენას იქ მყოფნი აღფრთოვანებით შეხვდნენ. მიტინგი ადგილობრივ საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა და სიტყვა ჩვენი კომისიის თავმჯდომარეს მისცა, რომელმაც დიდხანს ილაპარაკა ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ. დილას დაწყებული მიტინგი, საღამოს დასრულდა... (კომისიაში ათი კაცი შევდიოდით და თვითეული ჩვენგანი დაახლოვებით ორ-ორ საათს ლაპარაკობდა).

ჩვენი გამოსვლის შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩნდა შუა ხნის ქალი, რომელსაც თავი თეთრი თავსაფარით წაეკრა.

— ვინ არის ეს ქალი? — შევეკითხე ერთ ახალგაზრდა გლეხს.

— ვინ არის და ჩვენი სოფლის შეგნებული და აქტიური ქალია—კესა ჭირნახულაშვილი.

— ამხანაგებო, — დაიწყო კესამ — დღეს მარტო მშრომელი ქალების დღესასწაული კი არ არის, დღეს მშრომელი მამაკაცების დღესასწაულიცაა... დღეს საერთაშორისო მშრომელი ხალხის დღეა... მშრომელი ქალები განთავისუფლებული ვართ საბჭოთა ქვეყანაში, რადგან ამ ქვეყნის მშრომელი ხალხი თავისუფალია... ჩვენც თქვენთან ვართ, ამხანაგო მამაკაცებო, ამ საერთო საქმეში და ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვეწევით სოციალისტურ წყობილების განმტკიცებისათვის. ჩვენც თქვენთან ვართ იმ კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობაში, რომელიც დღეს ასე ფართოთ იშლება მშრომელთა მტრის სამწუხაროთ და მოყვარეთა სასიხარულოთ.

— ამხანაგებო, ნება მომეცით წარსულიდან გიამბოთ ერთი ამბავი. ჩვენს სოფელს წინათ მენშევიკებიც ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე, რომლებიც ათასნაირ ჭორებს სთხზავდნენ ბოლშევიკებისა და საბჭოთა წყობილების მიმართ. მახსოვს, ერთხელ ჩვენს სოფელს ესტუმრა ცნობილი მენშევიკი, მაშინდელი მთავრობის წევრი, რომელმაც თავისი სიტყვა დაიწყო და გაათავა ბოლშევიკების ლანძღვა-გინებით.

— იცით თქვენ, — მიმართა მან ხალხს, — ბოლშევიკები რას გვიზამენ რომ გაიმარჯვონ? აგვაოხრებენ, დაგვხვრეტენ... ცოლებს წაგვართმევენ და თვითონ დაირიგებენ... ესე იგი ცოლების სოციალიზაცია მოხდება... ეს იცოდეთ, თქვენ მამაკაცებო, იცოდეთ თქვენც ქალებო. იყავით ფრთხილად და თუ თქვენ შორის ბოლშევიკები გამოჩნდეს, დაიჭირეთ და მთავრობას გადაეცით...

მე მაშინ ბევრი არაფერი მესმოდა, მაგრამ მისი სიტყვა არ მომეწონა.

— გვატყუებს-მეთქი, გავიფიქრე და ჩემს ბიჭს შევეკითხე, რომელიც ბოლშევიკობდა:

— შვილო, მითხარი, მართალია რასაც მაგი ამბობს, თუ გვატყუებს მეთქი?

— სტყუის, დედა, სტყუის. ბოლშევიკები მხეცები არ არიან, მეც ხომ ბოლშევიკი ვარ, შენი შვილი! — მითხრა ჩემმა ბიჭმა და მეც ტრიბუნაზე გავჩნდი.

მე აღშფოთებით ვლაპარაკობდი და არ მახსოვს რას ვამბობდი... მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ბოლშევიკებს დაუწყე დაცვა... იმ ღამესვე დამიჭირეს და ციხეში გამგზავნეს. — დაასრულა თავისი სიტყვა კესამ.

ნიანგი.

## ტელეგრამები

### მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმს

დიდი ხანია ველით და ველით
და ვერ ვეღირსეთ თქვენს კლუბს ამდენხანს,
ნუ თუ ეს საქმე ასეა ძნელი
რომ დასაწყისი დღესაც არ უჩანს.

### ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მწერალთა კულტურულ კავშირის პრეზიდიუმს

ხსენებულ კავშირს ჩვენი სალამი,—
მოსაწონია მისი მიზანი,—
პრეზიდიუმს კი მოვაგონებდით,—
ნეტავ არსებობს რამდენი ხანი
რომ არ გვესმოდა დღემდის ხმა თქვენი
(თუმცა პლენუმი გამართეთ ერთი)
ო, საქმეები თქვენ გაქვთ რამდენი,
რაც გააკეთეთ „ზღვაშია წვეთი“.

### პოლონეთის სეიმს

შენს ამბავს, რომ გაიგონებს
ეგონება მკითხველს ჭორი,
სჩანს სეიმში მრავალია
საპატიო ბოქსიორი,
თვით სეიმი არენაა
სათამაშო მუშტი-კრივის
ოსტაბაში პილსუდსკია
დირიჟორის ხმაზე ჰკივის.

## „ფემინისტი“



როგორ ესმის ზოგიერთ ქმარს ცოლის განთავისუფლება ოჯახურ კერჩაკეტილობისაგან.

# ცოლიც კი გაურბის



ქულაკი:—წამოდი ჩემთან; ხომ ხედავ აქ აღარ გვეცხოვრება?

ცოლი:—შენ რომ ცოლათ შემ ირთე, ჩემთვის არავის უკითხავს, მიყიდე როგორც ღარიბის შვილი. მე ეხლა მამასთან დავრჩები, კოლექტივ''ში მიმიღებენ!

## სნეული სანატორიუმში (ქობულეთი)

სანატორიუმი ვნახე,
ჩუმჩაირა, ჩაირა,
დაღრეჯილდა უშნოთ სახე.
ქუკუ.
ვპოვე სასადილო სახლი,
ჩუმჩაირა, ჩაირა,
წინ შემომხვდნენ: კატა, ძაღლი,
ქუკუ.
პური ხისა, ხორცი ქვისა,
ჩუმჩაირა, ჩაირა,
კბილს ეცა და ყბა გაიქცა
ქუკუ.
ეხლა კლუბი ვინახულე,
ჩუმჩაირა, ჩაირა,
ქონდათ ვირთხებს ნამარხულებს,
იქ ცეკვა და დაირა.
ავადმყოფსა წიგნი უნდა
ჩუმჩაირა, ჩაირა,
—თავ'ში ირტყი ქვა და გუნდა".
„ზავი" იტყვის, აი, რას!
მჭის კართანა დუქანი,
ჩუმჩაირა ჩაირა,
შიგ კვარტები მსუქანი.
ქუკუ.
მუშა ამბობს: „არ მინახავს
სამი თვეა, კინო,
არც წიგნები, არც თეატრი,
მო, ჩავლუნწოთ ღვინო.
ღამით გახვალ, კარიდორში"
ჩუმჩაირა, ქუკუ,
ძაღლს გადუერე, ვერ მორჩები,
ამ სიბნელეს უკუნს.
აჭკურუპროფ. მოგვხედე
მაგ მოწყალე თვალებით,
ერმოლიის გადამკიდე
რატომ არ გებრალებით?

„მიკო".

# გვარამია

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს საბჭოთა ქვეყნის განმტკიცებას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, მაგრამ, მიქელ - გაბრიელის ჩაის ქარხნის ჯამგე გვარამიას სხვანაირად გაუგია შეჯიბრების მნიშვნელობა და თავისთავის შრომის ნაყოფიერებაზე მოუზრუნებია კები.

მიქელგაბრიელის ჩაის ქარხანას ჰქონდა შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისებელი ფონდი 100 მანეთი. გვარამიამ შუბლზე ხელი მიიდვა და უცებ გადასწყვიტა — რა საჭიროა მუშების წახალისება. ისინი ისედაც წახალისებული არიან მუშაობაში, მოდი ამ ფულით მე წავიხალისებ თავს, ამან კი შეიძლება კარგ ხასიათზე დამაყენოს და მუშებს ლანძღვა - გინებას თავი გავანებო, თორემ, მართლაც მე რომ მუშებს ვაგინებ, არც ასე შეიძლება, ქე შეიძლება იქნება მარა „იასნო დალ'ში", ვინ რას გამიგებს თავი რომ წავიხალისო. ეს გაიგონ კი არა ჩვენს სოფელს მიქელგაბრიელი ქვია და სახელწოდების გამოცვლა ვერავის მოუხერხებია. — სთქვა თავისთავის გვარამიამ, ას მანეთიანს მზეზე გახედა, გაუჭყრიტა და მარცხენა ჯიბე წაიხალისა. მარჯვენა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, ფანქარს წვერზე მიაფურთხა და „ნავსიაკი სლუჩაი"-სთვის დასწერა წერილი:

„ითვლება ჩემზე კავშირის ფული ასი მანეთი შეჯიბრის მიღწევების საფასურის გასაცემად".
გვარამია.

ეს ცნობა მოლარეს მიაკრა შუბლზე, გუნებაში წაუჩოჩა მიქელ - გაბრიელს. თავისთვის თქვა — მიქელგაბრიელო, როგორც სჩანს ჩვენს სოფელზე დიდი ამაგი გაქვს, რომ სახელწოდების გამოცვლა ვერავინ გაბედა, დამდე მეც ამაგი და ნუ გამამჟღავნებ ჩემი ქარხნის ნურც ერთ მუშას, რომ მათი წახალისება არ მოხდეს და ასი მანეთით ერთხანს ხელი მოვითბოთ.

მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და ამ ქარხანას ეწვია ტარტაროზის ბრიგადა. წახალისებულ გვარამიას შემწვარ კიბოსავით გაუხდა სახე, თვალებში ისე მოაწვა ცეცხლი, რომ გეგონებოდა იწვისო. გვარამია დარწმუნდა, რომ მიქელ - გაბრიელი არ არსებობდა და ვერც უშველის, მაგრამ თვით ქარხანას კი ღირსზე უნდა შეულია, თორემ გვარამიამ რომ თავის თავი წაიხალისოს, ის არ არის ჩვენი ანდილი ამოცანა. გვარამიას კი ურჩევთ ათი ჭიქა ჩაი ზედიზედ დალიოს, რომ ცივ - ცხელების ოფლი იდინოს და ფული თავის დანიშნულებისამებრ ჩააბაროს.

ივანიკა.

# სიკოს სკეპტიციზმი

— წადი, სიკო, ქალაქს, მიიღე ქარხნიდან რკინის გუთნები და მოიტანე, თორემ ხომ ხედავ, თესვის დრო უკვე კარს მოგვდგომია და ჩვენ კი ჯერ არა ვართ სავაზაფხულო მუშაობის დაწყებისათვის მზად! —უთხრა კოლექტივის თავმჯდომარემ, სამამ, იმავე კოლექტივის წევრს სიკო უნდილაშვილს, რომელიც კოლექტივთა შორის სხვა გლეხებზე უფრო შეგნებულ და გამოცდილ კაცად ითვლებოდა.

სიკო დასთანხმდა თავმჯდომარის წინადადებას და გასწია ქალაქისაკენ.

ქალაქს ჩასული სიკო თითქმის მთელი ერთი დღე დაბორიალობდა იქით-აქეთ, ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე და თვალს ვერ აშორებდა სწრაფი ტემპით ამოძრავებულ აღმშენებლობას.

— დედა, რამდენი ახალი ქარხნები, რამდენი ახალი სახლები, ქუჩები თუ ბაღები აუგიათ, დაუგიათ და აუშენებიათ... არა, რამდენჯერ გამიარია აქ, ამ ქუჩის კუთხეში, ახლა რომ ველარ ვცნობილობ მას სრულიად.. რა უქნიათ, როგორ დაუნგრევიათ, აქ რომ საცოდავი ქოხი იდგა და როგორ ვეშაპივით ახთვალა და ასმუცელა სახლი წამოუყუდებიათ ზედ... აქ რომ ჭიაყელასავით წვრილი ქუჩა მიიკლაკნებოდა და მიიზლაზნებოდა, რამისიფართე ქუჩით შეუცვლიათ იგი... არა, ტრამვაიც რომ კი გაუყვანიათ და გაუხმიან - გაუშარდაშარებიათ ის ოდესმე სოფლის ორღობესავით ჩამქვდარ-ჩახშობილი ვიწროები...

და სიკოც ზოგჯერ თითქმის საათობით პირდაღებული აცქერდებოდა და აკვირდებოდა ასე ყოველივე ახალს, რომელიც დიდი ხნის უნახავი ბავშივით უცებათ ასე გაზრდილიყო და დავაშკაცებულიყო სიკოს თვალში. სიკოს ჯერ კიდევ სოფლური სიმყარით დამძიმებულს წარმოდგენაში.

მიწსახკომიდან სიკოს მისცეს რაღაც ქაღალდის ნაღლეთი, რომელიც მან მიღებისთანავე სწრაფად გააქანა ნაცნობი ქარხნისაკენ.

— თქვენ ვინ გნებავთ? — ზრდილობიანათ შეეკითხა ქარხნის ალაყაფის კარებთან გამოცხადებულს სიკოს დარაჯი.

დარაჯმა ხელი გაიშვირა ვეებერთელა მშიერ ხახასავით დაღებულ ქარხნის მთავარი კორპუსისაკენ და ამით ანიშნა სიკოს თუ სითაც უნდა წასულიყო იგი.

სიკოც მოკრძალებით მიუახლოვდა შესასვლელს, ავლო კიბე და შეჩერდა კარებთან.

— ვინ გნებავთ?— გაისმა კართან მჯდომი კაცის პირიდან იგივე შეკითხვა, როგორითაც სიკოს ალაყაფის კარებთან დარაჯმა მიმართა.

— დირექტორი!— აქაც იგივე ლაკონიური პასუხი სიკოსი. ჯარის კაცი წამოდგა, კარი შეაღო და სიკოს მიუთითა.

სიკო ფეხაკრეფით შევიდა ღია კარებში. ის ელოდა ქარხნის დირექტორის ნახვას, ვინ იცის, რა სახებით და ფერებით არ წარმოუდგებოდა სიკოს ოცნებას უცნობი და უნახავი დირექტორი, მაგრამ...

სიკოს გაოცებას, უფრო კი—მის უხერხულობას და დაბნეულობას საზღვარი არ უჩნდა: სავარძელში, მწვანე მაუდ - გადაკრულ ვეებერთელა მაგიდას იქიდან იჯდა ფერგაღეული, ჩია ტანის ქალი...

არა, პირველად სიკოს არც კი უგრძვნია, რომ ეს ქალი იყო. მას ეგონა თოთხმეტ-თუთხმეტი წლის ყმაწვილი და გაუკვირდა: როგორ? ნუ თუ ეს არის დირექტორი? ნუ თუ ასეთი უზარმაზარი საწარმოს ბედი ამ ბალღს ანდესო?— მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მის წინ ბალღი კი არა, ასე შუახნის მანდილოსანი იჯდა, რომელიც საქმის ქაღალდებს ბეჯითად ჩაჰკირკიტებდა.

ამ მდგომარეობამ სიკოს ცოტად ფიქრებით წათამაშების საშუალება მისცა და მან სთქვა თავის გულში: —ალბად, დირექტორის ცოლია, თვითონ დირექტორი კი სადმე გავიდოდა და მისი ადგილი დროებით მის ცოლს დაუჭერიაო.

მაგრამ წარმოიდგინეთ, სიკოს გაოცება, როცა ბოლოს ქალმა აარიდა ქაღალდებს თავი და შეეკითხა სიკოს:

—რას გვიბრძანებთ?

— მმე... მ-მე... დირექტორთან... დაიბნა სიკო.

— მიბოძეთ, რა არის ეს.— და ქალმა ხელი გაიშვირა სიკოს ხელში დაჭერილ ქაღალდისაკენ...

სიკომ იქვითა და უნდობლობით გაუწოდა ქაღალდი...

— ათი გუთანი. ძალიან კარგი.— ქალმა ხელი დააჭირა მაგიდის კუთხეში ჩამწკრივებულ ერთ-ერთ ფოლაქთაგანს.

განის კარგი გაიღო და დარბაზში შემოვიდა თანამშრომელი, რომე[illegible]ის წინ ისეთი მორიდებ-მოკრძალებული პოზით შეჩერდა, რომ უნდობელ სიკოშიც კი თავი იჩინა ამ ქალისადმი ნდობისა და პატივისცემის გრძნობამ. იმან კი, რაც ამის შემდეგ მოხდა, ხომ სულ მოხიბლა და მოაჯადოვა სიკო.

— აი, ამ ამხანაგს,— და ქალმა ხელი სიკოსკენ გაიშვირა — გადასცემთ საწყობიდან ათ საუკეთესო გუთანს. ხომ იცი, კოლექტივისათვისაა განზრახული... მაგრამ მოითმინეთ, მე თვითონ დაგესწრებით.

ამ სიტყვაზე ქალი წამოდგა, ხელი წამოჰკრა იქვე კედელზე ჩამოკიდებულ პალტოს, სასწრაფოთ მხრებზე წამოიგდო და იმ თანამშრომლისა და სიკოს თანხლებით გასწია საწყობისაკენ.

საწყობში მისულ სიკოს აოცებდა ქალის მზრუნველობა და ხალისიანი სიმუყაითე, რომელსაც ის იჩენდა სიკოსათვის გუთნების შერჩევაში.

— თუმცა ჩვენი ქარხანა ერთიმეორეზე საუკეთესო გუთნებს ამზადებს, მაგრამ თქვენ ეხლად დაარსებული კოლექტივისათვის მე მაინც საუკეთესოების შერჩევა მინდა. — პირზე ღიმილით მოუთხრობდა ქალი სიკოს და აუჩქარებლად გადადიოდა ერთი გუთნიდან მეორეზე.

ქარხნის საწყობში უთვალავი რკინის გუთნები ელაგა.

სიკოს სიხარბე ამ შემთხვევაში ბუნებრივი იქნებოდა, რომ ამ ქალს თვითონ არ გამოეჩინა ამდენი მზრუნველობა გუთნების შერჩევაში.

ბოლოს ათი გუთანი გამოუწყვეს სიკოს, რომელიც ამ უკანასკნელმა დაუდო ალაყაფის კარებთან შეჩერებულ ურმებს და ასე გაამზადა ტვირთი სოფლისაკენ წამოსაღებათ.

— ვინ არის, თუ ძმა ხარ ის ქალი?— შეეკითხა სიკო თანამშრომელს გამომშვიდობების ხანს.

— ვინ უნდა იყოს, ჩვენი დირექტორია....

— დირექტორიი!— გაიოცა სიკომ. რომელიც ჯერაც კი ვერ შეოიგებოდა იმ აზრს, რომ შესაძლებელი იყო დირექტორად ქალი და ისიც ასეთ დიდ ქარხანაში და სიკოს მეხსიერებაში უეცრად ბნელ ღამეში გასრიალილი მაშხალასავით გაიელვა ამ რამდენიმე დღის წინად, ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის საზეიმო მოხსენების დროს ორატორის მიერ სიტყვაში სანიმუშოდ მოყვანილმა ბელადის სიტყვებმა: **„მზარეულ ქალსაც კი უნდა შეეძლოს მართოს სახელმწიფო“.**

და სიკოს უნდობლობაც, მისი სკეპტიციზმი, საბოლოოდ მოტყდა.

**მაზირა.**

## „თბილი შეხვედრა“



როგორ ხვდებიან ზოგიერთ დაწესებულებებში დაწინაურებულ ქალს.

## წ ე რ ი ლ ი
### კულაკის შვილთან

შვილო, მიტომ გასწავლე
დედამაც, რომ გიარა,
სიცოცხლე მომიწამლე,
ჩვენზე ფიქრობ კი არა.

კოლექტივში მოექცა
ჩვენი ავლა - დიდება,
ღრანქი გვერდზე მომექცა
გოლს ცეცხლი მეკიდება.

„კომსომოლა“ შეგირთავს,
ჩვენზე ფიქრობ ალარა,
შენი ქცევა გულს მიკლავს
არ გწამს ჩემი ჭალარა.

დედაშენს ისტერიკა
დღეში სამჯერ მოუდის,
ესტატე და ბერიკა
დარდებს ველარ ოუდის.

კოლექტივს მეთაურობს
გლახაშვილი რაედენა,
ვხედავ, რომ აღარ ხუმრობს,
აღარ ღირს აქ დარჩენა.

წინად მოჯამაგირე
მე რომ მყავდა მიხაკა,
ეხლა გადამეკიდა
და გული დამიხრაკა.

სოფლის სათავეშია
გაძევებას გვპირდება,
ერმილეც ამ დღეშია,
შენგაი [illegible] გვპირდება

დიდი კაცი იქნები,
დაგვეხმარე პაწია,
შვილო, ნუ მომიკვდები,
ბედმა უკან დამწია.

აბა, შვილო, შენ იცი
დაგვეხმარე მაქედან,
ცოტას კიდევ მოვიცდი
თვარ გაგვრეკეს აქედან.

მანი.

## საბჭოს თავმჯდომარე ბესო (სინამდვილიდან)

— ეს გაუმარჯოს კოლექტივიზაციას, ადამიანი იმდენად ლმობიერი უნდა იყოს, რომ კოლექტივში ყველას უნდა გაუხსნას გზა, მე პირადად არ მომწონს ის შეხედულება, რომ კოლექტივებში მდიდრებს არ უშვებენ— ასეთი სიტყვები დააყოლა შავ ღვინოს საბჭოს თავმჯდომარე ბესომ.

— თქვენ ეხლა მოხსენებას ამზადებთ ალბად ანგარიშის ჩასაბარებლად— შეეკითხა ბესოს მისი თანამოქეიფე.

— ჰმ, რა ცუდ დროს მოხდა საბჭოების საანგარიშო კამპანია, მაგრამ არა უშავს, ბესო ხომ კამპანიებში ცნობილია, ამ კამპანიაშიც მშრალად გამოვალ— სთქვა ბესომ და კვარტს ფსკერზე აკოცა, ჭიქა ხელში შეათამაშა.

კამპანიაში ხომ დრო უნდა გავატაროთ,— აი ერთ ამბავს გიამბობ ამხანაგო, ერთ მშვენიერ დღეს, როცა სოფლად ანტირელიგიური კამპანია მიდიოდა, მეც მივიღე კამპანიაში მონაწილეობა. ჩამოვიარე მეზობლები და ხუთი დღე გოჭების ჭამით ტუჩები დამისკდა. ღვინოში ახირებული ჩვეულება მაქვს. მიყვარს ცხენის სახლში შეჰყენება. ერთხელ ნაქეიფარი დავბრუნდი სახლში. ეს იყო 9—იანვარს, მოვცხე ცხენს, მაგრამ ცხენი ადგილიდან არ დაიძრა, შეიძლება ცხენი ქე ასულიყო აივანზე, მაგრამ ჩემმა ცოლმა გააბა კივილი, ბავშები ტახტს ქვეშ შეძვრენ. მეზობლები მოცვივდენ. ყველა თავისთვის ლაპარაკობდა—ყოჩაღ საბჭოს თავმჯდომარევ ბესო. მან უფრო გამამხნევა, მინდოდა ქეიფის გაგრძელება, დაუძახე მეგობარ შიოს, ივანეს, მაგრამ არავინ არ მოვიდა, მერე ერთი ცოლს მაგრად შეუზილე ყურის ძირები, ამის შემდეგ კავინ იტყვის, რომ ბესო არ არის მაგარი საბჭოს თავმჯდომარეო— კმაყოფილებით დაათავა მან და გამშრალ ყელში მადიანათ გადაუძახა ნუნუა.

ასეთი იყო საბჭოს თავმჯდომარე ბესოს „მუშაობის“ ერთი დახასიათება. ბესოს ბევრი იცნობს. ის ტფილისის ოლქის ერთ-ერთ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეა, თუ რომელ სოფლის, ამას თვითონ ბესო გიამბობთ საანგარიშო კამპანიის დროს.

ტარბრიგი.

# რ ა დ ი ო

**კვიჭიჭეთი** არც ქალაქია და არც სოფელი, თუმცალა ორივეა. რუქაზე კი რგოლით არის აღნიშნული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ქალაქად ითვლება.

რადიოსთან ხალხს ბლომად მოეყარა თავი.

8 მარტი იყო—ქალთა საერთაშორისო დღე და, ამიტომ, თავყრილობის უმრავლესობას ქალები შეადგენდენ.

— ალლო! ალლო! ალლო! ლაპარაკობს ტფილისი!— გაისმა ბოხი ხმა რადიოში.

— მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის კვიჭიჭეთის ალმასკომის წარმომადგენელს ამხ. იაკინთე ბრტყელფართავას!— გაისმა რადიოში თავმჯდომარე ქალის ხმა, რასაც მოჰყვა მთელი კონფერენციის ტაში.

რადიოს მაყურებლებმა ყურები სცქვიტეს.

— ჩვენი იაკინთე ლაპარაკობს, აბა, კარგად მოვუსმინოთ. იაკინთე, კვიჭიჭეთლებს არ გვაჭამო სირცხვილი! —გაისმა ხალხში ჩოჩქოლი.

იაკინთეს ცოლიც მოსულიყო რადიოს მოსასმენად. ქმრის გაგონებაზე, გულმა ჩქარი ცემა უწყო და სახეზე ცივი ოფლი დაასხა.

—...ამგვარად, ამხანაგებო, ქალი უნდა განთავისუფლდეს ოჯახურ კარჩაკეტილობიდან.— ისმოდა რადიოში იაკინთეს ლაპარაკი. ქმრებმა უნდა შეიგნონ, რომ ცოლი ქმრის თანაბარია „ძუ იყოს თუნდაც ხვადია",— როგორც ამას ამბობს ჩვენი ამხ. შოთა რუსთაველი. განსხვავება მათ შორის ამ მხრივ არაფერი არ არის. მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ კიდევ მამაკაცები ქალებს უცქერენ როგორც დაბალ ლობეს, როგორც შინა-მსამხურს და, ზოგიერთ შემთხვევაში, კიდევ მეტი —როგორც მონას. ქალები მიბმული არიან კერაზე; ისინი ვერ გამოდიან სამოქმედო ასპარეზზე და მონაწილეობას ვერ ღებულობენ ახალი ცხოვრების დუღილში.

— სიცრუეა; ჩვენ არ ვუშლით დუღილში, ლობიოს მოხარშვა-დუღილში მონაწილეობა მიიღონ, პირიქით, ეს მათი საქმეა!— ჩაილაპარაკა ბესარიონმა.

— ჩვენ უნდა გავაცხოველოთ ქალთა შორის მუშაობა!—ისმოდა რადიოში იაკინთეს ლაპარაკი.

— ალბად არშიყობაზე ამბობს!— ისევ ჩაილაპარაკა ბესარიონმა.

— მაგრამ, ამიერიდან,—ჰქუხდა რადიოში იაკინთეს სიტყვები,— ჩვენში არ უნდა დარჩეს არცერთი ქალი დაჩაგრული და უფლება-შეზღუდული ოჯახურ პირობების მიერ. არ უნდა დარჩეს არცერთი ქმარი, რომელიც თავის ცოლში ხედავს მხოლოდ-და შინა-მსახურს, ხელქვეითს და უსუსურ არსებას!

ტაშმა დაჰფარა იაკინთეს უკანასკნელი სიტყვები.

— ალბად, მაგ ცოლიანი არ არის და რა ენაღვლება ჩვენ თუ ცოლები აგეიჯანყდება!—სთქვა ხალხში ბესარიონმა.

— ცოლიანი როგორ არ არის, კაცო! ეს ჩვენი იაკინთე ბრტყელფართავა იყო!— უთხრეს ბესარიონს.

— რა ბედნიერი იქნება მაგისი ცოლი! ქმარი მყავსო ძან უნდა სთქვას. კაციც ასეთი უნდა—ლაპარაკობენ სახლისკენ მიმავალი ქალები.— აბა ჩვენი ქმრები, ქმრები კი არა, ბატონები არიან, მრისხანე და სულთამხუთავი ბატონები!

—:—

**იაკინთე** მესამე დღეს დაბრუნდა სახლში.

მას კიდეც გაუკვირდა, როცა ცოლი ჩვეულებისამებრ კარებში არ შემოეგება და პალტო არ ჩამოართვა.

— რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ, რომ თავი შეგიკრავს?—იწყინა იაკინთემ ცოლის ცივი შეხვედრა.

— კარგად ვარ, ძალიან კარგად!—თამამად უთხრა ცოლმა.

— მაშ რატომ... რატომ პალტოს არ მხდი? ხომ ხედავ დაღლილი ვარ და...

— მე შენზე უფრო დაღლილი ვარ. ეხლახან მოვედი კლუბიდან, კინო-სურათს უჩვენებდენ.

— რაო? კლუბიდანო?! რა შენი საქმეა, ქალო, კლუბი? ბავშსა და ოჯახს მოუარო ის გირჩევნია, თორემ...

— თორემ რაო?

— კარგია შენ ნუ მომიკვდე,— გაცხარდა იაკინთე, —ქმრის სახლში არყოფნის დროს ცოლმა თეატრებში ისეირნე და ოჯახი მიატოვე. გაგონილა ასეთი ამბავი?

— ქმრის არ ყოფნობის დროსო რომ ამბობ, ისე როდის იყო, რომ თეატრში წამიყვანე?

— თეატრი არ არის ქალის საქმე. ქალი შინ უნდა იჯდეს და ქმარ-შვილს უვლიდეს. ქალი ამისთვის არის გაჩენილი და არა ხეტიალისთვის.

— კაცო, შენ ხომ არ გაგიჟდი?

— ისეთად გაგავიჟებ, რომ... ამის მეტი ჭკუა არა გაქვს? მარა ქალს ვინ მისცა პჭკუა! ქალს ჭკუა მოკლე აქვს, თმა კი—გრძელი.

— რაო?

— ისაო, რომ ქალს მოკლე ჭკუა აქვს და თმა— გრძელი.

— თქვენ, მამაკაცებს, როგორი გაქვთ?

— ჩვენ გვაქვს გრძელი ჭკუა და მოკლე თმა.

— მაშასადამე, ვისაც მოკლე თმა აქვს, მას გრძელი ჭკუა აქვს?

— დიახ, ასეა!

— მაშ აწ არც მე მექნება შენზე უმოკლესი ჭკუა!— და იაკინთეს ცოლმა თავიდან თავსაკრავი წაიძრო.

ქმარი სახტად დარჩა.

მის წინ იდგა,თითქოს, სრულიად სხვა ქალი, თმაშეკრეჭილი.

— ღმერთო შენ დამიფარე!— იაკინთემ ინსტიქტიურად გადაიწერა პირჯვარი,—ვის ოჯახში ჩადიხარ შენ ასეთ ამბებს? ვის უბედავ შენ ამას? შენ გგონია გამასულელებ? იცი ვინა ვარ მე? ჩემი ნალაპარაკევი მთელ ქვეყნიერებას გადასცეს რადიოთი, ტაშის ცემით მთელი დარბაზი გააყრუეს, და შენ გინდა ასეთი კაცი გამაპამპულო, თავი მომჭრა ხალხში და თითით-საჩვენებელი გამხადო?—და გულმოსულმა იაკინთემ ისე მაგრად დაჰკრა ხელი მაგიდას, რომ ზედ მდგარი ჭიქა ავარდა და იატაკზე დაიფშვნა.

— ყოჩაღ რადიოში მოლაპარაკევ, რომელსაც ქვეყნიერება გისმენს!—ეს ისეთი დამცინავი კილოთი უთხრა ცოლმა იაკინთეს, რომ ეს უკანასკნელი უცბად „განიარაღდა".—მეც მოვისმინე რასაც ლაპარაკობდი. სიხარულით აივსო მაშინ ჩემი გული... გამეხარდა და, აი, ხომ ხედავ ამიერიდან მე ვარ შენი ცოლი—თანაბარ უფლებიანი ამხანაგი. თუ რადიოში შენი ნალაპარაკევი ცხოვრებაში არ გატარდა, მაშინ ბაიყუში ყოფილხარ, რომ ისე გაჰყვიროდი ქალების განთავისუფლებაზე ოჯახურ კარჩაკეტილობისაგან.

— რადიომ დამღუპა, რადიომ, რომელიც ასე მომწონდა, მიხაროდა, მიყვარდა!—გაიფიქრა იაკინთემ და ცოლს ნელ-ტკბილად უთხრა:— ხომ კარგად ვლაპარაკობდი, გენაცვალე? ხომ მოეწონათ ჩემი სიტყვა?

— კი, ყველას მოეწონა, გარდა ბესარიონისა!

— ის უვიცია და შეუგნებელი. ქალზე პრიმიტიული წარმოდგენა აქვს. მას ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმი"-ც არა აქვს წაკითხული და, აბა, ემანსიპაციის მას რა უნდა გაეგებოდეს?!

**ხი—ლი.**



ალმასხან დიასამიძე ძველი „პარტიული“. ამიტომ საკვირველი არ იყო, რომ სოფელ მიგარდნილაში ის სათავეში მოექცა საქმეს.

ალმასხან მოხერხებული კაცია. სხვათაშორის ამ მოხერხებით მან კარგად გამოაჭახრაკა თავისი საქმე.

სოფ. მიგარდნილა კი, მართლაც მიგარდნილი სოფელია. იქ ძნელად შეხვდებით ისეთ ხელ...ვანილებს, როგორც სხვაგან.

როცა რომელიმე კამპანია ტარდება, ამ სოფელს ესტუმრება ცენტრიდან ვინმე და საერთო კრებაზე გააცნობს ამა თუ იმ საკითხს. ამ გაცნობილ საკითხებს კი ალმასხანი მომხსენებლის წასვლის შემდეგ თავისებ...ი უხსნის ხალხს და ყოველგვარ ახალ პოლიტიკას თავის სასარგებლოდ შეაბრუნებს.

— : —

ერთხელ სასოფლო სა...ეო გადასახადის გაწერა ხდებოდა. ცენტრიდან მოსულმა პირმა მოხსენება გააკეთა გადასახადის წესიერად გაწერაზე.

გადასახადი გა...ული იქნა ალმასხანის მითითებით.

აკრეფას შეუდგენ.

— კაცო, მე რა კულაკი მნახე, რომ ამდენი შეგიწერია ჩემთვის? — შეეკითხა ერთი გლეხი ალმასხანს.

— შენ იცი რას ჰქვია კულაკი? — შეუბრუნა შეკითხვა ალმასხანმა.

— რომ არ ვიცოდე, არ გეტყოდი!

— მერე და შენ კულაკი არ ხარ?

— რით ვარ კულაკი? შენზე მეტი რა მაბადია?

— აი, სულელო, ხომ გითხარი, რომ არ იცი რას ჰქვია კულაკი! კულაკი ეს რუსული სიტყვაა და ჰქვია მუშტს. აქ ქონება არაფერ შუაშია. ხომ გახსოვს მენშევიკების დროს, მილიციაში მუშტით იმუქრებოდი. ეს ლა ბოლშევიკების მთავრობაა და, რადგან მუშტის ცემა არ უყვართ, გადასახადით გიხდიან სამაგიეროს.

— მართლაც-და რას ვერჩი ამ ბოლშევიკებს? მართო გადასახადს თუ მაკმარებენ სასჯელად, ვინ ჩივა. — გავიძრობ ტყავს და გადავიხდი. შემდეგ შეიძლება ჩვენებიც მოვიდნენ და მერმე მუშტი კი არა, წიხლებიც არ დამეშურება მაგათთვის! — ამბობდა ის გულში.

— მე რა გადასახადის გადახდა შემიძლია ამ მოხუცებულ კაცს? თვალს არ მიჩანა და ყურს არ მესმის, სახლი არ მაქვს და მიწამამული, სამადლოდ მეზობლები მინახავენ! —უსაყვედურა ზალიკა ყრუშველმა ალმასხანს.

— რა ვქნა, ჩემო ზალიკა, ხომ იცი ჩვენი მთავრობის კანონები, რასაც ბრძანებს ის უნდა შესრულდეს. მე რომ პარტიული ვარ, ის მევალება სწორედ, რომ ამ გამოცემულ კანონებს თვალყური ვადევნო და სისრულეში მოვიყვანო! — უპასუხა ზალიკას ალმასხანმა.

— კი მაგრამ იმ კანონში სწერია: დაახრჩვე კაციო? — გაბრაზდა ზალიკა.

— ხომ გაიგონე რა სთქვა ცენტრიდან მოსულმა ამხანაგმა?: გადასახადები უნდა გადახდეს იმ პირებსაც, რომლებიც სხვისი შრომით ცხოვრობენო... აბა მითხარი, ამ სოფელში შენს მეტი ვინაა სხვისი შრომით რომ ცხოვრობს?! მიწას შენ არ თოხნი და ტყეს შენ არ ჩეხავ. აბა ერთი მითხარი, ვის ერ...ვა, თუ შენ არა, სხვისი შრომით მოსარგებლე? ჩვენი მთავრობა, ჩემო ზალიკა, მუშურია, და აბა ჩემისთანა მუშას რომ გადაახდევინოს, ეს რა სამართალი იქნება?!

ზალიკამ ბევრი ედავა ალმასხანს, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

— : —

სოფელში აკრიფეს გადასახადი. ალმასხანს და მის მზგავს პირებს არაფერი გადაუხდიათ.

დიდხანს იყო ასე სოფ. მიგარდნილაში, მაგრამ ერთ დღეს სულ სხვა ამბავი მოხდა. ცენტრიდან მოსულმა ამხანაგმა ბევრი ილაპარაკა სოფლად კულაკობის ...სპობისა და კოლექტივიზაციის შესახებ; აუხსნა და დაანახვა კოლექტიური მუშაობის მნიშვნელობა.

ალმასხანს არ მოეწონა კოლექტივიზაცია, მაგრამ რას იზამდა, მოვალე იყო მაინც კოლექტივის სასარგებლოდ გაეწია აგიტაცია ხალხში.

როცა მომხსენებელი წავიდა და მიგარდნილას მცხოვრებნი ალმასხანს შემოეხვიენ გარშემო მოხსენების უფრო კარგათ გასაცნობათ, ალმასხანი ვითომ დიდი სიხარულით შეეგება ამ ამბავს და აღფრთოვანებით დაიწყო:

— ამხანაგებო, კოლექტივიზაცია მეტად ძვირფასია ჩვენთვის...

— ძვირფასია, ძვირფასი, მაგრამ ერთი გვითხარი, რას ნიშნავს მაგ კოლექტივიზაციო? — შეეკითხა ერთი.

— რავა არ იცით, ხალხნო? აი, მაგალითად, ამ სოფელში ცხოვრობთ ასი კომლი. გაქვს ასი სახლი, ასი საბანი, ასი ცოლი და შვიდასი შვილი. დღეიდან კი ასე არ იქნება, გაკეთდება ერთი სახლი, ერთი ლოგინი, შეიკერება ერთი საბანი, რომელიც ყველას გადაეფარება და ყველა ერთათ დავიძინებთ.

— კი, მარა ცოლებს რა უნდა ვუყოთ?— დაიძახა ერთმა.

— ცოლებიც, და ქალებიც იქ დაწვება და კაცებიც, მაშინ არ იქნება შენი ცოლი, ჩემი ცოლი. მაშინ ყველა ქალი შენი ცოლი იქნება და ყველას შვილი — შენი შვილი.

— ისემც გვერდები არ აგიდგა!

— ისემც მეხი დაგეცემა!

— მაგ დღე არ მოგვესწრება! — გაისმა ხმა.

ალმასხანსაც ეს უნდოდა. მან განგებ დაახურდავა კოლექტივის მნიშვნელობა, რომ გლეხებში უკმაყოფილება გამოეწვია და თავისი საქმე გაეჩარხა.

ალმასხანის აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო: სოფლის გლეხობამ ეჭვით შეხედა კოლექტივიზაციას.

— : —

— ამხანაგებო, კარგი იყო აქ კოლ...ტივის დაარსება! — დაიწყო ცენტრიდან ...მოსულმა, — მაგრამ რაკი თქვენ წინააღმდეგნი ხართ, დეე ნუ დაარსებთ კოლექტივს.

ხალხში ტაშის ცემა გაისმა.

— ალბათ არ გესმით ჯერ თქვენ კოლექტივის მნიშვნელობა, მაგრამ როცა გაიგებთ, მაშინვე დაარსებთ. — განაგრძო ცენტრის კ...ცმა.

— თქვენ თუ გაქვთ თქვენ სოფელში კოლექტივი? — შეეკითხა ერთი. — გვაქვს ამხანაგო, და უნდა გითხრათ, რომ ჩვენს სოფელს არაფერი არ აკლია. ამას წინად ცოლმა მომწერა, რომ ყველაფერი...

— როგორ თუ ცოლმა? თქვენ ცოლი გყავს? — შეაწყვეტინა ერთმა.

— მყავს, ამხანაგებო, არც ისე ახალგაზრდა ვარ! — დაუძახა მან.

— კი, მაგრამ ვისთან წევხარ? — იკითხა ვიღაცამ და თავი ხალხში შემალა.

— ეს რა შეკითხვაა, ამხანაგებო. მე მგონია მშრომელ გლეხობასთან მაქვს საქმე და არა ქუჩის ბიჭებთან...

— : —

და დაწვრილებით გააცნო სოფელს კოლექტივიზაციის მნიშვნელობა.

გლეხობა აღტაცებით უსმენდა.

იქვე გამოიტანეს დადგენილება მთელი სოფლის კოლექტივში გაერთიანების შესახებ

— კი, მაგრამ, ვინ არის კულაკი?—იკითხა ერთმა გლეხმა.

— ის, ამხანაგო, რომელიც დაქირავებული შრომით ინახავს თავს, ჰყავს რამდენიმე სული საქონელი, აქვს მიწა, მამული და ქონება.

— ასეთი ჩვენში ალმასხანეა!—ჩაილაპარაკა ერთმა.

— თუ და, უნდა გადავასახლოთ!—უთხრა მომხსენებელმა.

— ის ხომ პარტიულია? — იკითხა მეორემ.

— არ შეიძლება, ამხანაგებო, იყოს ასეთი ვინმე პარტიაში!—სთქვა მოსულმა და გამოიკითხა ალმასხანის ვინაობა.

— თქვენ პარტიული ხართ? — შეეკითხა ის ალმასხანს.

— კი ბატონო!

— რამდენი წელია?

— დიდი ხანია, ბატონო; ჯერ კიდევ ...ში ვმუშაობდი. მაშინ რომ შევედი პარტიაში და მომცეს ქაღალდი, მას შემდეგ სულ პარტიაში ვარ.

— აბა მაჩვენე მანდატი!

ალმასხანმა ძველ ქაღალდებს შორის ჯიბიდან ამოიღო ძველი ქაღალდი და მას გადასცა.

„ამის წარმომდგენი ალმასხან დიასამის ძე ყვინთაძე ნამდვილად მუშაობს ფოთის ხაფთ-სადგურის მტვირთავ არტელში შესამე პარტიაში“ — ეწერა ქაღალდში.

— ეს არის შენი მანდატი? — შეეკითხა მოსული.

— დიახ, ეს არის! — უპასუხა ალმასხანმა.

გლეხობამ დაადგინა — ალმასხანს გამოეცემა მიწა კოლექტივიდან და მისთვის ქონების ჩამორთმევა.

პ. [illegible]

# სახლი კომუნა

**ორშაბათს**, სამუშაოდან რომ დავბრუნდი, სადილი მაგიდაზე დამხვდა და თან პაწია წერილიც, სადაც განმარტებული იყო, რომ ფეფიკო (ცოლის სახელი გახლავთ) კოოპკომისიის სხდომაზეა წასული.

რაღას ვიზამდი, დავჯექი და ვისადილე მარტომ.

**სამშაბათს**, როცა გავიღვიძე და ჩაი მოვიკითხე, ხელში პირდაღებული სამოვარი შემეჩეჩა. სამოვრის თავზევე იდო პაწია ბარათი, სადაც ეწერა: „ამ დილით თავდასხმაა კოოპერატივებზე და მეც თავდამსხმელებში ვერევივარ",

იძულებული გავხდი ჩემი საკუთარი ხელით ამედუღებინა სამოვარი, რის გამო სამსახურში დავაგვიანე და გაფრთხილებაც მივიღე საქმეთა მმართველისაგან, რომელიც კარგი ხანია აბრეზილია ჩემზე.

**ოთხშაბათს** სადილათ ორიოდე ამხანაგი მოვიპატიჟე, რადგანაც ბაზარში კულაკისგან ჩამოტანილი ინდაური ვიყიდე (დაე მეპატიოს მე ეს გადახრა).

მივედით სახლში, რომელიც... დაკეტილი დაგვიხვდა. გამოირკვა, ჩემი დიასახლისი ფეფიკო საწარმოო თათბირზე წასულიყო დილიდანვე და გასაღების დატოვება დავიწყებოდა.

ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ მე, სტუმრებთან ერთად გამოვარკვიე, რომ ინდაურის ჩასაცივებისათვის სამზარეულოში არავითარი მუშაობა არ იყო ნაწარმოები და მაშასადამე, ინდაურის ჭამის საკითხი თავისთავად იხსნებოდა.

სტუმრები წავიდენ, ხოლო მე მეზობლისას ვისადილე პროტექციით (ჩემი ნათლიმამა გახლავთ).

**ხუთშაბათს** გაკეთდა ის ინდაური, რომელზედაც ზევით მოგახსენებდით.

**პარასკევს** ფეფიკო პროფაქტივის სახალხო კრებაზე წავიდა და ისე დაღლილი დაბრუნდა, რომ სადილის გამოტანა და მასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები მე ვიკისრე.

**შაბათი** სწორედ ის დღეა, როცა ფეფიკო დილიდან საღამომდე საბინაო საკითხებს აწესრიგებს ჩვენს საბინაო-საიჯარო კოოპ. ამხანაგობის გამგეობაში, როგორც გამგეობის წევრი.

**კვირას** მე სულ მარტო ვიყავი, რადგანაც ფეფიკო საშეფო უჯრედის აქტიური მუშაკია და უჯრედის წევრ ქალებთან და კაცებთან ერთად საშეფო სოფელში წავიდა.

**ორშაბათს...** მაგრამ ღირს ისევ თავიდან დაწყება? სულერთია, ახალს ვერაფერს გეტყვით...

ასე დამღუპა ცოლის საზოგადოებრივმა მუშაობამ. ყველაფერს გაუძლებდი, მაგრამ სადილათ ცივი საჭმელის და ხან უსაჭმელობის მონელებას ვერ გაუძელ.

თუ წინად მე ვებრძოდი ცოლს, რომელიც მომხრეა ჩვენს საბინაო ამხანაგობაში მოეწყოს კომუნა, საერთო სასადილოთი, სამზარეულოთი, სამრეცხველოთი და სხვ., ახლა მე თითონ მოვითხოვ და ისიც საქვეყნოთ:— დავგიარსეთ სახლი კოლექტივები და სახლი—კომუნები, მოვაწყოთ კოლექტიური ცხოვრება, თორემ სულ ერთია, ეს ქალები ისე არიან ჩაბმული სახელმწიფო- საზოგადოებრივ მუშაობაში, რომ სადილისთვის, სარეცხისთვის და სხვა ამისთანაებისთვის აღარ სცალიათ"!

ასე მიამბო ჩემმა მეგობარმა, თვით „პროფაქტივმა" ბარნაბმა.

დაუჯეროთ ამ კაცს, დავაარსოთ სახლი—კომუნა—არტელ-კოლექტივები! რამდენადაც გამიგია, ეს ხელს შეუწყობს ქალთა ყოფა-ცხოვრებითი მდგომარეობის გაუმჯობესებას და მამაკაცებსაც ცხელ სადილებს მიაწვდის ყოველდღიურათ!

**ტერსიტი.**


## ყველას... ყველ

შემოსავლის ერთი წყარო-

## ამიერ-კავკასიი

## ვაჭრობის კო

არსებული საუტილიზაციო ნედ

ფილ

ტფილისი მუზეუმის ქ. № 2.

## „ზაკ

მილიონი მანეთები იკარგება ეხლა სასოფლო-მეურნეობაში. ვერ ვხედავთ, რომ ტყუილ-უბრალოთ იკარგება სიმდიდრე: ჩვრები, ძვალი, ძველი კალოშები, ტყავეულობა, ნაბდები, ჩუსტები, თოკი, ლითონის ნაჭრები, ლურსმნები, რკინის კოლოფები, ქაღალდი და სხვა ძველმანი. გონიერი გლეხი, რომელიც გაფრთხილებით შეკრეფს ყველა ამას და გადასცემს შემკრებ პუნქტებს, ან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის თანამშრომელს, მიიღებს შემოსავალს და საბჭოთა მეურნეობას კი მილიონ მანეთებს მისცემს.

საჭირო ახსნა-განმარტებანი ძველმანების შეკრების და გაყიდვის შესახებ მოსთხოვეთ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკებს.

ახლობელ დამამზადებელი პუნქტის მისამართი: ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობა.

ყველა გლეხის ოჯახმა თითო ჩვარიც რომ მოგვაწოდოს, დაგროვდება სხვადასხვა მოთხოვნილების საგნების დასამზადებლად საჭირო ნედლეულობის მთელი ვაგონები.

საზღვარ-გარეთ ჩვენს ძველმანებში იძლევიან ოქროს, რითაც საბჭოთა სახელმწიფო იძენს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ტრაქტორებს და მანქანებს.

თუ ძველმანებს არ მოვაგროვებთ, ჩვენ დავკარგავთ დიდ თანხებს.

გახსოვდეთ, ისიც, რომ ძველმანების გადარჩევაში და გადამუშავებაში რამდენიმე ათი ათასი მუშა და გლეხი შოულობს საარსებო საშუალებებს.

გავაძლიეროთ შეკრეფა, ამით ჩვენ შევსძლებთ მივცეთ—სამუშაო ღარიბ უმუშევარ მოსახლეობის დიდ რაოდენობას, ხოლო ფაბრიკა-ქარხნებს—ნედლეულობა, შევამცირებთ საზღავრ- გარეთიდან ნედლეულობის შემოტანას და მოვიმარაგებთ ოქროს.

**სოფლის საბჭოს და კომკავშირს ადგილკომს და გლეხკომს, შაქტებს ევალებათ—ყველას უთხრან, რომ ძველმანებს ნურვინ აგდებს.**

ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებსა და

თავისი პუნქტები, სადაც მიიღ

...ᲐᲡ... ᲧᲕᲔᲚᲔᲡ...
—ძველმანი არ გადაყარო!
...Ა ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
...ᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲗᲐᲜ
...ეულთა გაერთიანებული განყო-
...ება
...ᲢᲘᲚ"
ტელ.—4—50

სოფელმა დააპირა ეყიდა მას ტრაქტორი,
მაგრამ ჯიბეში ფული არ ჰქონდა გროში ორი.
რა ექნათ არ იცოდენ; დაგლოვდა ყველას გული.
რა ექნა არ იცოდა—როგორ ეშოვა ფული...



მაგრამ, ჰა, მოაგონდათ... დაიძრა მთელი კრება,
ყოველმა დაიწყო ძველმანს გროვება და შეკრება.



წაიღეს და გაჰყიდეს (გზა ხომ არ იყო შორი!)
იყიდეს მათ ტრაქტორი, ერთი კი არა—ორი.

ᲛᲣᲨᲔᲑᲡ, ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮ-ᲥᲐᲚᲔᲑᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲚᲔᲡ ᲐᲕᲐᲚᲔᲑᲡ—
ᲫᲕᲔᲚᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲝᲡ
ᲓᲐ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲝᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ.

...ᲓᲐᲑᲔᲑᲨᲘ „Ზ Ა Კ Უ Ტ Ი Ლ Ს" ᲐᲥᲕᲡ
...ᲔᲑᲐ ᲣᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲫᲕᲔᲚᲛᲐᲜᲘ

# ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ 

ქარხანაში, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ, გატარდა ერთპიროვნული მმართველობა.

— აბა ახლა მე მკითხეთ, თუ დღემდე შრომის ნაყოფიერება ვერ გადიდდა, ეს იყო ისეთი ობიექტიური პირობების შედეგი, როგორიც არის ერთპიროვნული მმართველობის გაუტარებლობა. ვისთვის დამეჯერებია არ ვიცოდი... აწი მე მიყურეთ...

ერთპიროვნული მმართველობის დამყარებიდან გავიდა სამი თვე—ქარხანაში შრომის ნაყოფიერება ცოტათი შემცირდა და წუნიც... გამრავლდა.

— რა ვქნა, ჩემი ბრალი ხომ არ არის! აქ უმთავრესი მიზეზი ობიექტიურ მიზეზებში უნდა ვეძიოთ,—ბოდიშით ამბობდა ერთპიროვნული მმართველი დირექტორი.—ეს ობიექტიური მიზეზები არ ყოფილიყო, მე ვიცი რასაც ვიზამდი, მაგრამ რა გინდა უქნა ობიექტიურ მიზეზს?..

დირექტორმა მიიღო გაფრთხილება.

**ერთი თვის შემდეგ, რევიზიაზე:**

— რატომ შემცირდა შრომის ნაყოფიერება თქვენს ქარხანაში?

— მე რა ვიცი, ამბობს დირექტორი, მე მგონია, რომ აქ მიზეზი ობიექტიური უნდა იყოს.

— თქვენ რაღას იტყვით?—ეკითხებიან კომუჯრედის მდივანს.

— მეც ვფიქრობ, რომ უმთავრესი მიზეზი აქ ობიექტიური მიზეზია ამბობს მდივანი.

— აბა თქვენი აზრი?— მოუბრუნდენ ქარხკომს.

— წმინდა ობიექტიური მიუდგომლობით თუ გაწევვით, მეც მაგ აზრის ვარ!

— წუნი რაღამ გაამრავლა?

— მაგის მიზეზი, ჩემის ღრმა რწმენით, ობიექტიური მიზეზი უნდა იყოს, სხვა მიზეზი მე ვერ მომინახავს...

— ეს თვითღირებულება რაღამ გაადიდა?

— აი, ეს კი ნამდვილათ ობიექტიური მიზეზის ბრალია,—დაბეჯითებით ამბობს დირექტორი.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა,—უმატებს მდივანი.

— ასპროცენტიანი სიმართლეა,—ამტკიცებს ქარხკომი.

ერთი კვირის შემდეგ, დირექტორი, მდივანი და ქარხკომის თავმჯდომარე უკვე შრომის ბირჟის წინ შეხვდენ ერთი მეორეს.

— დაგითხოვეს ამხანაგო დირექტორო?

— მომხსნეს კი.

— რა მიზეზით?

— მიზეზი არ ვიცი... შენ გადაგირჩიეს?

— რას გამიშვებდენ! გადამირჩიეს...

— შენც?

— მე ვისი წითელი კოჭი ვარ, ახალი ქარხკომი აირჩიეს.

— რა მიზეზით დაგითხოვეს? ეკითხება მათ შრომის ბირჟის სექციის გამგე.

— რა მოგახსენოთ, მე მგონია, აქ უკვე მიზეზი სუბიექტიურია, რადგანაც მუშგლეხინის წარმომადგენელს ჩემი მუშაობა არ მოეწონა,—მოწყენით ამბობს დირექტორი (ყოფილი).

— აი, ეს მართალია, ჩვენი მიზეზიც ეგ არის, ეგ სუბიექტიური, მაგას გაუხმეს სიყმე... ესმის დირექტორს, რომელიც ობიექტიურად მიჰყუდებია ბირჟის კარებს.

ალლარ-ალლარხან.

# ლიტერატურული ნობათი

## პაროდიები

ტიციან ტაბიძე

### როალდ ამუნდსენი

არც კი მახსოვს, ვიყავი,
როცა ორპირს რიონზე,
გემი გამოერიყა
მოფრენილი ალიონზე.
უსმენდი დედის ძახილს
მკლავდა თეთრი ტრირემა,
ხარებს უბამდი მარხილს
და ვლაღობდი ტრემად.

—:—

როალდ ამუნდსენ, პარასკევია,
მარტო დარჩენა არ შემიძლია,
მუხლით თოვლი არ მიმკვლევია,
არც შენზე აზრი გამომიცვლია.
მთვრალი ხომალდი არტურ რემბოსი
ცისფერი ყანწი ჩემი პაოლოს,
ლექსებს დაუსვა მე დიაგნოზი
შენმა სახელმა რომ დამავალოს.

კოდალა.

—:—

ს. შანშიაშვილი

პოემა ქალზე

### რომელიც წველიდა ფშაურ ძროხას *)

შენ არ მგევხარ ძველ ქალებს,
თმა რომ აქვთ ვით ჯეჯილი.
შენ ახალი ქალი ხარ,
დახვალ თმა შეკრეჭილი.
ჩემი „ყამირს" გეფიცები,
ასე სჯობია განა;
შენ აღარ გაგამწარებს
წაბლისფერ თმის დაბანა.
ვაშა ამ ქალს, ვაშა,—
გავიძახოდით ყველა.
ჩინებულად გცოდნია
ფშაური ძროხის მოწველა.
თან ხელებიც რბილი გაქვს,
ვით კარაქი და ყველი,
შენნაირ ქალებს ვადიდებთ
მე და შოთა რუსთველი.

ბაიოზ ქირიმელი

—:—

სიმონ ჩიქოვანი

### მეზღვაურის სიმღერა

მომდომებიხარ, მომგონებიხარ,
ლერწმებში წოლა, ლექსის რხეული,
რითმებიც თითქოს მომგონებია
გზა იყო ქარში ბედით წყეული.
დარდი ფეხებზე დამკიდებია,
ვერ დავიძინებ ლექსზე ამაღამ,
ერთობ მაღალი კიბეებია
უნდა გადავხტე მთების გადაღმა.
მეორე ტომი ლექსთა კრებული
ამბათ თქმულია ჩემზედ ნამდვილი,
თუმც გულზე ხელი დამიკრეფია
ლერწმის ჯოხი ვარ დანით გათლილი.
რას მოვიგონებ აწი ჭკვიანურს,
ან მოგონებებს რა თავში ვიხლი,
ლექსის წერაზე უკრავ ჭიანურს,
მაგრამ რითმებმა გამიშრო სისხლი.

ჩენი.

*) პოემის შინაარსი აღებულია სინამდვილიდან ძროხის წველას დაესწრნენ პოეტები ტაბიძე და გ. ლეონიძე.

## ემიგრანტ პოეტ ვლასა მგელაძის გაგაასევა

### თავის - თავთან

ლალე, ლალე,
ბევრი ვივალალე.
გამოვცურე შავი ზღვა
და იმედი დაიმსხვრა.
გეფიცები ნოეს წვერს, —
ეს კალამი ვეღარ სწერს...
ცამ, ცამ, ცა!
ცოტა დამაცა.
როგორ თუ დაგიბერდი,
თხამ შეჭამა იმედი...
დილო-დილო, დელო,
კოხტა საქართველო.
ვეღარ გეტყვი კლიმანჭორს,
სიზმრად ვხედავ ხაჭაპურს:
რადგან მახრჩობს ცოდვები,
მეყო ლექსით ბოდვები...
ჰოპლა, ჰერი,
თავში ფრინავს მწყერი;
დიდო ნოე ბატონო,
გმართებს რომ გვიპატრონო
ჯიბის ფული არ არი,
მიბოძე ჰონორარი...
ტაში და დელია,
საქმე შემომელია.
მეც ფეხის ხმას ავყევი
და ლექსებს გადავყევი...
ჰერი და ბიჭებო,
ჩემთან ყველა გიჟებო.
ნეტავ კიდევ მაჭამა
სამტრედიის ტარანა; —
ნუ წამიწყდება მამა,
დარდმა გადამიტანა...
რაშო, რერა,
ფიქრმა დამაბერა
ჰერი და ჰოპლა
ჩიკ, ჩიკ, ჩიკ,
ბედმა დამაობლა
სკუპ და რიკ.

კრაზანა.

## ქ ო რ ო ნ ი კ ა

— კიდევ წერთ ლექსებს?
— როგორ არა, ეხლახან დავასრულე 400 გვერდიანი პოემა.
— რისთვის არ იბეჭდებით?
— ეეხ, ბეჭდვას რა ჭკუა აქვს, ვწერ ლექსებს და პოემებს და ვკითხულობთ მე და ჩემი ცოლი, როცა უსაქმოთ ვრჩებით.

— ძალიან კარგი იყო თქვენი ლექსი, თუმცა გავლენა...
— გავლენაზე ნუ იქნება ლაპარაკი, თორემ უნდა მოგახსენოთ, მე, რომ რუსთაველზე ადრე დამეწყო ლექსების წერა, ვეფხის ტყაოსანზე ჩემი გავლენა უეჭველი იქნებოდა.

— რისთვის არ გამოვიდა შენი მოთხრობების კრებული აქნობამდე?
— სახელგამის ვალი მმართებს და ქეც რომ დაიბეჭდოს, შარშანწინდელი ავანსში გამომიბრიან.

—:—

— „ქართულ მწერლობაში" ერთი პოემა მივიტანე და ჯერაც არ დაბეჭდილა.
— მიზეზი?
— ახალგაზრდა ხარო, იდარეჯიშე, და მომავალში დაგიბეჭდავთო.
— შე მამაცხონებულო ახალგაზრდობაში ვერაფერი გაგიკეთებია, და სიბერეში აბა რაღას გააკეთებ!

## ო ზ უ რ გ ე თ ი

აპარატების დაიწყო წმენდა;
დღეს მაზედ ფიქრობს კაცი თუ ქალი.
ბევრს შიშისაგან დაეცა ელდა,
ბევრ- აუვარდა გულის ფანცქალი.
მაგრამ საშიში არაფერია...
თუ ვინმეს გასწმენდს კომისიები
ისევ აღიდგენს ის თავის ადგილს,
(კიდევ არიან მცირილი ძიები).
გაიძახიან: აქ ჩვენს უ—ში
ბლომათ არისო გასაწმენდავი
აქ დაგროვილან ბევრი ჩარჩები,
ვაჭრები მღვდლები და სხვა ნაგავი.
პროტექციასაც ადგილი აქვსო,
ასე ამბობენ მავნე ენები.
(მცირე ზაპისკით შაქარი მოგვცენ,
ეს ხომ არ არის მოსახსენები).
ვინც რომ გადარჩა უწინდელ წმენდას
მაინც ამოკრეს ბოლოს პანღური,
იმათ მუდარას და იმათ ხვეწნას
ჯერ კი არავინ ათხოვა ყური.
ტრესტ-აპარატში გასაწმენდავი
არავინ არის, როგორც ყველა...
დაბალ მუშებზე შესტკივათ თავი—
(ისემც მიეცათ ზოგიერთს შველა)
თუ მათში ვინმე საქმით ზარმაცობს,
სამაგიეროთ ენა აქვს გრძელი,
(ენა მუდამ ჟამს დიდ როლს თამაშობს—
მისთვის მზათ არის სულ სავარძელი).

ბელასინი

# ეგზამენიაში ჩავიჭერით

მე, ხამამწთ ტოგო და ჩვენი ალოღლეტია სერგო, მახლასი—დავრჩენილვართ ქუჩის ანაბარა. ამ თარიღში ჩვენი საქმე შეშუფან-ჯ ზედ ვერ დავაყენებთ. ხაითაც გავიქეცით, წინ ეროკოპის ვ... და ფინინსპექტორის პოლეხტკა დაგხვდა. ნიკოლოზის მთავრობაც და მენშევიკებიც ადვილად მოვინელეთ; შიგ ლ.ოთი-ფოთი ბიჭები ბევრი გვეგულებოდა, მაგრამ ბ ალშევიკებმა კი წირვა გამოგვიყვანეს. გასაქანი აღარ გვაქვს. ორიოდე შაური დაგვრ'ენია და ისიც ლოთობაში იფლანგება. დეკრეტებზე ხელს არავინ მოგვაწერინებს და მაშ სხვა რა საქმე გავაკეთოთ. დარდისაგან ჩვენც ლოთობის „ნეპრერივკა" გამოვაცხადეთ—ვსვამთ და ვსვამთ ოზრათ.

ერთ პახმელია დილას გაზეთში ვკითხულობთ, რომ გოსკინპრომი არტისტებს იყვანსო. არ გავგიჟდით და არ წავედით?! ვაშ, თუ კი რომ ერთ დროს თავადებს და ყოფილი ლებულობდნენ, ჩვენ იმათზე ნაკლებ, რითა ვართ,—ჩვენც ბიჭშები, ისინიც—ბიჭშები.

გოსკინპრომის კომენდატები ფაბრიკაში ეპროპუსკოთ კომისრებსაც კი არ უშვებენ. ჩვენ კი არხეინად გავიარეთ. თურმე ნუ იტყვი, დოშლულურ ახალოხში და განიერ შარვლებში დარაჯებს ჩვენ ჭიაურელის გადაცმული არტისტები ვეგონეთ. გაგვიცინეს, ჩვენც გაუცინეთ. აი სულ ეს იყო ჩვენი პროპუსკი.

დერეფანზე ხუთასამდე ქალი და კაცი ელოდებოდა ოჩერედს. რეჟისორმა შაქრომ უოჩერედოთ მოგვიწყო საქმე. ჩქარა ჩააბარეთ გამოცდები, რომ თქვენნაირი ტიპაჟი საჩქაროდ მჭირდებაო. აი გიდი ჟამანაკ! შაქროა რეჟისორი იყოს და ჩვენ კი, ზიგში ვტოროი გილდი კუპცები, ტიპაჟი გაგვხადეს. მახლას, ჩვენი სიცოცხლე ფუნიკულიორის ვაგონებია რაღა—ერთი ადის, მეორე ჩამოდის,

ორივე ერთად ვერცდროს ვერ ავლენ.

— ეგზამენიაში რომ არ შავედი, გულმა ისეთი დაგა-დუგი დამიწყო, როგორც ცხონებულ ჩამოღებულ სიონის ზარმა. სახუმრო საქმეა! ვდგევარ კონცომოლისტების წინ და გემნაზისტივით ვაბარებ. ვაი, მოკვდი თავო!

— შენ მუშა ხარ თუ გლეხიო?—მეკითხება ერთი ფერმკრთალი ახალგაზრდა.

— როცა სოფელში ვარ, მაშინ გლეხი ვარ და ესოა კი ბეზრაბოტნათ დავრჩი.

— ქართველი ხარ თუ სომეხი?—კიდევ მეკითხება.

ეს შეკითხვა ჩერეზჩურ პადაზრიტელნათ მეჩვენა და ძალიან გავცხარდი.

— ამხანაგო, ჩვენ 30 წელიწადი ვიბრძოდით ინტერნაციონალისათვის და შენ კიდევ ნაციებზე მელაპარაკები. ვენაცვალე ქართველსაც და სომეხსაც, თუ რომ პატიოსნება და ჩვენი მთავ..ობის სიყვარული ექნებათქო.

— ჩემი პასუხი კომისიას მოეწონა და ყველაში სიცილი გამოიწვია.

— ვინ იყო ენგელსი, ანუ რას აკეთებდა?—შემეკითხა ერთი აჩქებიანი კაცი.

— ენგელსი მსახურობდა გოსკინპრომში ოპერატორათ, ძალიან ლოთი ბიჭი იყო და ჩემთან პადვალში მალ-მალე ჩამოდიოდა.

— ეს სიტყვები რომ დავამთავრე, სუყველანი ფეხზე წამოდგნენ აღელვებულნი.

— ნესჩასტნი დუბანშჩიკ, ჩუჟდი ელემენტო!—და მკრეს კისერში მუშტი...

ერთი სიტყვით მე მიცვნეს და აქაც ბითური გამოვილა რაღა.

არც ჩემს ამხანაგებს დასდგომიათ კარგი დღე. თურმე ხაამანთ ტოგოს რომ შეეკითხეს—კულაკი რა არისო, იმას მუშტი აეშვირნა ზევით და ეთქვა:

— ვენაცვალე კულაკსაო, ეს კულაკი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ მტერი დაგვიბრიყვებდაო.

— სერგოაც პოლიტგრამოტაში ჩაჭრილიყო. ეკითხნათ პარტიაზე. პარტია—ნარდის თამაშიაო. გუშინ ყურალოვმა კარაპეტამ ექვსი პარტია წააგო, რადგანაც სულ ერთთავად დუბირექი მოსდიოდაო. ხარევნოვანიას საკითხში კი თავ-ფეხიანათ ჩაფლულიყო. ხარევნოვანიე ის არის, როცა შენ ცოლს სხვა ეარშიყება და შენ კი ჯავრისაგან ჯიგარი გეხრუკებაო.

პადვლები დაგვიკეტეს, სამსახურში არ გვილებენ, გოსკინპრომში შესასვლელად ნასწავლი მუშა ანუ გლეხი უნდა იყო. მაშ რა გავაკეთოთ? ხელში ჩონგურისა და კვარტიანის მეტი არაფერი გვშერია და ახლა კი წერაქვი და ლომით ხელები უნდა დავიძროთ"

— ეთიმ გურჯიმ ტყვილათ კი არა სთქვა: „რომელ მგოსანს ვთხოვოთ სამართალია, ვის მივმართოთ—რუსთაველი მკვდარია".

ჟულიაში.

# „პატიოსანი" ქმარი



— არა გრცხვენია, დღესაც დაითვერ?

— დღეს ქალთა დღეა და მეც შენი ხათრისთვის გადავკარარი...

# ახალი თავადები

## სატირა ერთ მოქმედებათ

მოქმედნი:

**ყარამან**—ბოლოლა გლეხი.

**თებრონე**—მისი მეუღლე.

**ელი**—მისი ქალი.

**ილო**—საშვალო გლეხი, ელოს საქმრო.

**ბაბრო**—ყარამანის მოჯამაგირე—ყოფ. აზნაური.

**სეონ**—თემაღმასკომის თავმჯდ.

**კულაკები 1, 2, 3.**

**მთავრობის კომისია.**

**მილიციონერი.**

(სცენა წარმოადგენს ყარამანის ოჯახს: ო ახის კედლები მორთულია სხვადასხვა სურათებით. ერთ კედელზე ჰკიდია ჩვენი ბელადების სურათები, მეორეზე—ქართველი მეომრის, თავადების და მათ შორის ყარამანის დიდი სურათი).

**ყარამანი** (ცეცხლიან ბუხართან ზის და თუთუნს ეწევა. თებრონე და ელო სუფრას შლიან):—ელენა, გაბოს დამიძახე. (ელენე გაბოს ეძახის, შემოდის გაბო)—შენ, ეი, ბიჭო, ცოტა ჭკუ უნდა გამეიჩქარო, როცა უფროსი გეძახის. ყოფილი აზნაურიშვილი ქა ხარ, მარა, რაი მერე! ეხლა თქვენი დრო ... , ბიჭიკ, ხომ გესმის; ეხლა ჩვენი დროა—გლეხების და მუშების.

**ბაბო** (თავისთვის)—ისემც რა გითხრა, შენ გლეხი იყო ან მუშა).

**ყარამან**:—ჰო-და, თქვენი დრო გაფრინდა... აღარ მოფრინდება, გესმის?! შენ თუ წინათ აზნოუშვილი იყავი, ეხლა მე აზნოუშვილზე ცოტა მეტი ვარ... თავადი ქა არა მქვია, მარა, ისე თავადი ქე ვარ, ა, რას იტყვი შენ! (ხითხითებს).

**ბაბო**:—აბა, რა უნდა გითხრა, ბატონო ყარამან... თავადიც ხარ და მეტიც... ჩვენი დრო რომ გაფრინდა, კი ვხედავ, მარა ეგებაშენი დროც გაფრინდეს, ჩემო ყარამან...

**ყარამან**:—რაო?! რაო?! ჩემი დრო გაფრინდესო?!. ესე იგი, მუშების და გლეხების დრო? ჰა?! ეს რა თქვი შე ვირო, შენა! გინდა ჩუკას დაუძახო... გინდა ვირის აბანოში ამოგაყოფიო თავი... (იცინის) შეშინდი ხომ!.. არა, ნუ გეშინია, გეხუმრები! რაც უნდა იყოს, ჩემი ყოფილი თავადის შვილი ხარ, აბა რას გერჩი, მოსახურები, ცუდს ხომ არაფერს მიშვები. ახლა ის მითხარი, სიკოს უთხარი თუ არა, რომ ამაღამ ჩვენსას მოსულიყო?

**ბაბო**:—დიახ, ვუთხარი, სტუმრები ყავდა, მითხრა, უსათუოდ მოვალო. (გაბო მიდის. ყარამანთან მიირბენს ელო და ეხვევა).

**ელო**—(ყარამანს):—პაპა, პაპუნჩკა, გენაცვალე, შენ რომ დამპირდი?.. დღეს ჩემი დღეობაა (ეხვევა). პაპა, ხომ მიყიდი, პაპუნჩკა, რა კაი პაპა მყავს (დედისკენ) მამა, მომრჩა, პაპა დაპირებას მისრულებს. სად უნდა დავდგათ მერე.

**თებრონე**:—რა სად უნდა დადგათ, ქალო?

**ელო**:—რაი და პიანინო რომ უნდა ვიყიდო; აკი პაპა დამპირდა, ჩვენს სოფელში ჩვენს მეტს არავის ექნება პიანინო.

**თებრონე**:—მამიშენმა მზითვათ დაგპირდა, შვილო; როცა გათხოვდები მაშინ გაყიდით...

**ელო**:—არა, მამოჩქა, გათხოვებამდის უნდა მიყიდოთ, გესმის?! ილო, სანამ დიდ ოდას არ დაიდგამს, მე მას არ მივთხოვდები, პაპიჩო კი მანამდის უნდა მაყიდოთ.

**ყარამან** (ელოს):—ერთი ეს მიბრძანე შენ, ქალიშვილო, მე ხომ ჩემს დაპირებას შევასრულებ, მარა შენ ის უნდა მითხრა, მე ვინა ვარ შენი, მამა, ბებია თუ ბაბუა. თუ დედა შენი მამა შენია, მაშინ მე დედაშენი ვყოფილვარ, ან მე თუ შენი ბაბუა ვარ, დედაშენი ბებია ყოფილა, რავაა მაი საქმე, ვერაფერი გავიგე...

**ელო**:—პაპა, რას ამბობ, როგორ თუ ვინა ხარ, შენ ხომ ღვიძლი მამა ხარ ჩემი! რა ბაბუა! არაფერი მესმის! (თებრონე იცინის).

**ყარამან**:—როგორ თუ არაფერი გესმის, რა შენი პაპა ვარ მე. პაპა ხომ ბაბუა არის, მაშის მამა... (ელო და თებრონე იცინიან).

**თებრონე** (სიცილით):—შენ კაი კაცო, რავა გამოყრუედი! არა გრცხვენია, დიდ კაცობის რომ არაფერი გესმის? გაიგე, კაცო, ქვეყნის რამე: დიდ კაცებში მამა დედას ქვია, პაპა კი მამას.

**ელო**:—ჰო, პაპოჩქა, ასე, მამა დიდ კაცებში ასე იციან.

**ყარამან**:—ჰმ, დიდკაცებში... ჩვენც ხომ დიდკაცები ვართ...

**თებრონე**:—ელო, გენაცვალე, წავიდეთ, ტანზე ჩაიცვი, მოვიკაზმოთ, ხომ იცი სტუმრები მოვლენ. (ელო გადის).

**ყარამან** (თებრონეს):—შენ, ჩემო მზის უნახავო, ერთი აქ მომიახლოვდი.

**თებრონე**:—რა გინდა, კაცო?

**ყარამან**:—მოდი რაღა, (თებრონე ყარამანს მიუახლოვდება) ერთი ის მითხარი, რას ამბობენ ჩემზე მეზობლები, გამდიდრდაო, არა? (იცინის).

**თებრონე**:—(გვერდით მიუჯდება ყარამანს) აბა რა ვიცი, ერთხელ ყური მოვკარი, ლაპარაკობდნენ: მაი ახალი მთავრობა მაგენიზა ყოფილაო... ჩვენ აღარ გვკადრულობენო... დიდი კაცები გახდნენ. წინანდელი თავადები ჯობდა მაგათო...

**ყარამან** (სიცილით):—ოჰო, ოჰო, მაშ, არა მოწიწებით თაყვანს ვცემ მაგათ, რა გონიათ. წინანდელი თავადები სჯობდაო... მაშ, ჩვენ ეხლანდელი თავადები ვყოფილვართ არა? შენ კი თებრონე თავადის ცოლი ხარ! თავი მაღლა ასწი, ხომ იცი, უნდა შეიფერო, მაშა. გვარი კი არ მივაოგა მარა, არა უშავს. გლახაშვილი აბა რა გვარია, გურიელი რომ ვიყო, ან ერისთავი ჰო, მესმის (იცინის), რატომ თავადი არ ვარ?.. ოდა თავად წერეთლიდან შევიძინე, ეს მოწყობილობაც მისი იყო, ქონებაც მათი მე დამრჩა. ეს კია, რომ თავადის ქალი არა მყავს ცოლათ, მარა არა უშავს. (წაეხუმრება).

**თებრონე**:—უი, დამიდგეს თვალი, ვინ მეუბნება მაგას. ჩემი გვარი შენ გვარს მაინც სჯობია.

**ყარამან** (მოფერებით):—კაი, ერთი შენ, ჩემო თებრონე, გული ნუ მოგდის. ეხლა მე ქნიაზი ვარ. შენ კი ქნიაზის ცოლი. მორჩა და გათავდა. (თებრონე გადის მეორე ოთახში), ყარამანი დადის და წელში იგრიხება). აი, ბიჭოს, ერთი ახალგაზრდა ვიყო... რა დრო მომესწრო. კაი კი ყოფილა ეს საბჭოთა წყობილება. აბა, რა ეგონათ მაგ თავადაზნაურებს, ყოველთვის ისინი იბატონებდნენ თუ? ეხლა ჩვენც უნდა ვიბატონოთ, გლეხებმა... თუმცა ყველა გლეხები ვერ ბატონობენ, მარა არა უშავს, ყველა თითი ხომ ერთი ზომის არაა, ერთი პატარაა, მეორე მოგრძო, ერთი წვრილია, მეორე მსხვილი, ისვა, რაღა ჩვენი საქმე, გლეხებშიაც არიან ჭკვიანები და არა ჭკვიანები, ულირსი და ღირსეული... ჩვენ კულაკები შეძლებული გლეხები ვართ, ანუ ისეთები, წინანდელი თავადები რომ იყვნენ... შემდეგ არიან საშუალო შეძლების გლეხები, ანუ მაშინდელი აზნაური შვილები და შემდეგ არიან ღარიბები, ესე იგი გლეხები, ჩვენ რომ წინათ ვიყავით ისეთი. (შემოდის გაბო).

**გაბო** (ყარამანს):—სტუმრები მოვიდნენ (შემოდის სამი კულაკი ცოლებით).

**ყარამან** (სტუმრებს შეხვდება)—მობრძანდით, მობრძანდით, გაუმარჯოს კულაკებს.

**ხმები**:—გაუმარჯოს, გაუმარჯოს (იცინიან. ქალები შედიან მეორე ოთახში).

**ყარამან**:—ყველაფერი კაი, მარა ეს სიტყვა კულაკი მაინც არ მომწონს... ნუ თუ მთავრობამ სხვა სახელი ველარ გამონახა ჩვენთვის?.. კულაკი თურმე მუშტს ქვია... ჩვენ მუშტი ვყოფილვართ... რაღაც ეს სიტყვა ყურს არ მოსწონს.

**1 კულაკი**:—რატომ, რა უშავს, მუშტი კაი სახელია... მარა მე რომ მუშტი დამარქვეს, ეს კი მართალი უნდა გითხრათ არ მეფერება... აბა ჩემი მუშტი რა მუშტია... ჩემმა მუშტმა ვინ უნდა შეაშინოს.

**2 კულაკი**:—მთავრობამ ჩემო ძამია კარგათ იცის თავის საქმე; შენ კულაკი იმიტომ გქვია, რომ სიმდიდრე გაქვს, როცა ჩამოგართმევენ, მაშინ არც მუშტი იქნები და არც ბუშტი...

**ყარამან**:—რაღაცას თურმე მაი ღარიბები კიდევ აპირებენო, არ გაგიგონიათ?

**3 კულაკი**:—როგორ არა, რაღაც ი კოლექტივი რომაა იმას აკეთებენ თურმე... ამბობენ მთავრობა ეხმარებაო...

**ყარამან**:—ერთხელ ქე ჩავფუშეთ და ეხლაც ჩავფუშავთ...

**1 კულაკი**:—ამბობენ, ჩვენი სოფლის ყოფილი თავმჯდომარის სიკვდილის გამოძიება დასრულდაო.

**2 კულაკი**:—დასრულდა, თუ არა მკვლელებს არ მიაგნონ.

**ყარამან**:—კაი თავმჯდომარე კი ავირჩიეთ აი, ჩვენი სიკოიე... თრობის მეტს არაფერს აკეთებს (იცინიან).

**გაბო** (კარებთან ყურს უგდებს):—ოხ, თქვენი... რა დრო მოგესწროთ...

**ყარამან** (შემოდის ილო):—ილოც მოვიდა. სიძე, თვალის სინათლე. (მიართმევს სკამს) გაიცანით კულაკებო, ეს საშუალოა, ჩემი სასიძო... სანამ კულაკი არ გახდება, ქალს არ ვაძლევ (იცინიან).

**ილო**:—თქვენი წყალობით, ბატონო ყარამან, იმედია ჩქარა კულაკი გავხდები (იცინის).

**ყარამან**:—ჰმ, ჩემი წყალობით... ქალს გაძლევ, მზეთუნახავ ქალს, მეტი რა გინდა ყაზახო?!. ცოტა მზითევსაც მოგცემ... დაწარჩენი შენ იცი... ოქროებში ხომ არ ჩაგსვამ...

**ილო**:—ჰო, ჩემთვის ესეც საყოფია... ცოტა მზითები და ცოტა ფულიც... დაახლოვებით ოთხი-ხუთი ათასი მანეთი, მეტს არ მოგთხოვ (იცინიან. შემოდიან: თებრონე, ელო და კულაკების ცოლები).

**თებრონე** (ყარამანს):—ყარამან, კაცო, ამ სტუმრებს ნუ მოვკლავთ შიმშილით. ვახშამი მზათა გვაქვს...

**ყარამანი** (სტუმრებს): ბატონებო, თავადებო და აზნაურიშვილებო, მობრძანდით, (ყველანი მაგიდის მოუსხდებიან) ალბათ სიკოც მალე მოვა... სხვებს არავის ველი... ბატონებო, ტოლუმბაშობას ვერვის დაუთმობ.. მე თვითონ გაგიწევთ. (ყველანი ყარამანის სადღეგრძელოს სვამენ). აბა, თავადებო და აზნაურებო, გლეხები აქ არავინ გვყავს, ჰო, მართლა, ერთათ-ერთი გლეხი ჩვენი გაბოა, მე ვადღეგრძელებ ჩემ ქალიშვილს, ელენას, დღეს ბატონებო მისი დაბ...ების დღეა, ვუსურვოთ მას ბრწყინვალე მომავალი (ილოსკენ) შენ, ეი, აზნაურიშვილო, თუ თავადი არ იქნები, ქალს არ მოგცემ, გესმის? (საერთო სიცილი. ყველანი ელოს ადღეგრძელებენ. ამ დროს შემოდის მთვრალი სიკო).

**სიკო** (შემოიძღერებს):—ჩვენს კულაკებს გაუმარჯოს... თქვენ ეი... (ქუდს მოიხდის) ვინავატ ვაში სიატელსტვო... მე ისე რაღა... ცოტა გადავკარი... ცოტა, ჰო, მერე რა, კიდევ დავლევ...

**ყარამან** (სიკოს ხელს მოკიდებს და ერთი კულაკის ცოლთან დააჯენს):—შენ, ხომ იცი, ჭკუით იყავი, თორემ როგორც აგირჩიეთ, ისე გადაგირჩევთ — (სიცილი).

**სიკო**:—რაო, რაო, ბატონო ყარამან!.. ჰო, შენ მართალი ხარ... გადამირჩევთ არა... მერე ვის აირჩევთ?.. (გვერდით მჯდომ ქალს უბწკენს. ქალი შეიკივლებს... ქმარი წამოდგება) უკაცრავათ ქალბატონო, შემთხვევით, ბოდიშს ვიხდი... (ყარამანი სიკოს ხელს მოჰკიდებს და მეორე კულაკის ცოლის გვერდში დააჯენს).

**ყარამან**:—აბა, ბატონებო აავსეთ ჭიქები. ეხლა უნდა ვადღეგრძელოთ ჩვენი მთავრობა.

**ხმები**:—რომელი მთავრობა?!

**ყარამან**:—ჩვენი მთავრობა, არ იცით? კომუნისტების მთავრობა, რომელმაც ჩვენ თავადები გაგვხადა... გესმით?.. (სიკო მეორე ქალსაც უბწკენს).

**ქალი**:—სიკო რა დაგემართა! მთა..რობის სადღეგრძელოა!

**სიკო**:—ადექით ფეხზე (ყველანი ფეხზე დგებიან), დაჯექით, (ყველანი ჯდებიან) ბატონებო და აფხანიკებო! დღეს ჩვენ ყარამანის ოჯახში ვართ... ხომ ასეა ბატონებო? ყარამანი, აფხანიკებო, ჩვენი სოფლის სიამაყეა... მაი რომ არ იყოს ჩვენ სოფელში, ჩვენი სოფელი კაპიკათ არ ეღირებოდა. ჩვენი მთავრობა ბატონებო, მე ამას ვაცხადებ აფხანაკებო, მთავრობის სახელით, მადლობას გიძლვნით სადღეგრძელოსათვის. (შემოდის გაბო).

**გაბო**:—ვილაცები სიკოს ეძახიან.

**სიკო**:—რაო? მე მეძახიან? რას ამბობ! ვინ არიან? აქ მოვიდნენ. სად მცალია მე ეხლა (გაბო გადის) ჰო, და, ბატონებო, ჩვენ ყველანი გლეხები ვართ.

**ხმები**:—ეხლა კი გლეხები აღარ ვართ.

**სიკო**:—ამიტომ, აფხანიკებო, მე ვსვამ ჩვენი მთავრობის სადღეგრძელოს (შემოდიან მთავრობის კომისიის წევრები).

**კომის. თავმჯდ.**:—უკაცრავათ, თემალ მასკომის თავმჯდომარე გვინდა...

**სიკო**:—თავმჯდომარე გი·დათ? თქვენ ვინა ხართ ამ შუა ღამეს რომ მეძებთ? ხვალ მოდით აღმასკომში! ამაღამ არ მცალია...

**კომის. თავმჯდ.**: — ხვალ ჩვენ დრო არ გვაქვს.

**სიკო**:—როგორ თუ დრო არ გაქვთ?! ხვალ მოდით მეთქი!

**კომის. თავმჯდ.**: — თქვენს წინაშე მთავრობის სპეციალური კომისიაა, რომელიც გამოგზავნილია თქვენ სოფელში ჩადენილ ბოროტების გამო... გიცხადებთ, რომ თქვენ ყველანი დატუსაღებული ხართ (შეი..-ება ჩოჩქოლი. შემოდის მილიციონერი) წაიყვანეთ ყველანი ქალების გარდა.

**სიკო**:—თქვენ არ გაქვთ უფლება თავმჯდომარის დატუსაღების.

**კომ. თავმჯდ.**:—ალბათ გვაქვს. წამობრძანდით. (ყველანი გადიან გარდა ქალებისა და გაბოსი).

**გაბო** (თავისთვის):—ესეც თქვენ, ხომ გიწინასწარმეტყველეთ, თქვენი დროც გაფრინდება მეთქი.

(ფარდა)

**ჟუჟბარა**

# ფოსტა

### „დაუვიწყარი“

**ს. ზანა, (სენაკი)** გაიცანით ტყებუჩავა; (მის მუცელში ბევრი ჩავა). გლეხკომს გაჰკრა მაგრად კბილი; (მას უყვარდა ჭამა ტკბილი). კაცი გაძღა, გაიბერა... არავინ არ დაიჯერა, რომ გლეხკომი თალა, გახრა; (მარჯვნივ ჰქონდა მას გადახრა)... ჰო-და გაძღა, გაიბერა, ჭამით გული გაიჯერა... არხეინად დასეირნობს, რომ ნაჭამი მოინელოს, და გლეხკომის მოსაგონად ის ეხლაც სვამს სადღეგრძელოს.

**(მიხ—ველი).**

### ორი შემთხვევა

**იორჯომი (სადგური)** ისე გადის ეს ზამთარი, არ გამთბარა აქ დარბაზი. ყველა მგზავრებს აცახცახებს და უფროსზე მოსდის ბრაზი. სამი მგზავრი გაიყინა, ისე გახდა როგორც რკინა.

უფროსს გული შეუწუხდა (ამას არვინ არ ელოდა), კაბინეტში თურმე დიდი სითბო იყო და ცხელოდა.

**(ტარ—კორი).**

### „ენერგიული მუშაკი“

**ახალსენაკი.** გვაქვს სამკითხველო-კლუბი, შიგ არის მუდამ ჩხუბი. გამგე გრიშა ბედია—კლუბის შავი ბედია. ამბობს: „გემო ცხოვრების არის სმა და ქამაში; მივუმატოთ ჩვენ ამას კარტი-ნარდის თამაში, და მივიღებთ სამოთხეს, დამერწმუნეთ ამაში“.

**მი— ლი.**

### აწეული ცხვირი

**ლანჩ-ქვიტირი (ქუთ ოლქი).** ალექსანდრე ბუაძე როდის მოვა ჭკუაზე? ესტუმრება სასადილოს, საქმეს იზამს სასაცილოს. ქეიფობა უყვარს ზორბად, თავი მოაქვს არწივ-ორბად. წელს უმშვენებს რევოლვერი, აგვირია ყველაფერი. ყველაფერზე ბრაზობს, ჰყვირის, მანდატი აქვს კომკავშირის.

**(„რეფერენტი“).**

### ხარბი—გაუმაძღარი

**ფოთი (ნავთსადგური).** ტარტაროზო, ჩამოდი და მარკოზა აქ არი. ჩარჩს მიჰყიდა ტრესტიდან მიღებული შაქარი. (მუშებს მისცეს შაქარი თითოს ათი კილო). სხვაც ბევრია აქ, ძმაო, საშენო და საკბილო.

**(ვერანა).**

### ღმერთის მოწვევა

**სამტრედია.** ჩვენს ათწლედში ყველაფერი აირიადაირია. ალექსანდრე, მიხა, გოგი ასაფეთქი აირია. ქოსია ბიბლიური, აშლილია სულ დავთარი; საქმეში თუ მთხლე არიან,—ერთმანეთში კი—აფთარი. გადასწყვიტეს მოიწვიონ ინსტრუქტორი ვინმე ერთი და ასეთი ჯერ-ჯერობით გამონახეს მხოლოდ ღმერთი, რადგან ღმერთმა ქაოსიდან თურმე შექმნა ეს მსოფლიო; ის აქ წესრიგს დაამყარებს, და რად ვღვაროთ ჩვენ ოფლიო.

**(ბრაგუნა).**

### უხერხული მდგომარეობა

**სოფ. გომი (ოზურგ. მაზრა).** ტყისმცველი და მფარველი მორცხვი არის **სიმონი.** ტყის ქურდებს რომ შეხვდება, მჟავდება ვით ლიმონი. ბურჭულაძე-მგელაძეებს მისცა მოჭრის სრული ნება; ეს „გმირებიც“ დაფაცურდენ, და მთელი ტყე იჩეხება. სიმონ როცა წააწყდება ტყის ბაცაცებს უცბად ტყეში, —ბოდიშს იხდის:— მაპატიეთ, არ გავიელი აქ ჩემს დღეში!

**(„ინანო“).**

## გასამრჯელო ჩვენში




## უცხოეთში



# ფარცხი-მარცხი

### გამიჯნურდა ხიგუა, მან უარი ვერ იგუა.

(ნიორწყალი).

ს. ხიგუა ლუშეთში მასწავლებლობს. იმავე სკოლაში მასწავლებელი ქალი ე. **ბახტაძე.** რაღაც ეშმაკი შეუჩნდა ხიგუას და მან შეიყვარა ბახტაძის ქალი.

მაგრამ ქალმა უარი უთხრა.

— რა ვქნა? რა ხერხი მოვიგონო? ამდენი რომანი მაქვს წაკითხული და საჭიროების დროს არც ერთი მათგანის ხერხი არ გამომადგა! — ასეთ სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი მასწავლებელი ხიგუა, რომ მას უცბად მოაგონდა „შიში შეიქმნს სიყვარულსა“

— ერთად - ერთი საშუალება მხოლოდ ეს არის. ხვეწნა - მუდარამ არ გასჭრა. აწი მე ვიცი! — სთქვა მან და...

და სკოლაში გაკვეთილზე ე. ბახტაძის ქალს სიმჟავე შეასხა სახეზე.

დასახიჩრებული ქალი საავადმყოფოში წევს.

— აი, ბავშვებო, დაიხსომეთ ეს მაგალითი და გაკვეთილი: როცა ქალი უარს ეუბნება გამიჯნურებულ ვაჟს, პირველს ასეთი ხვედრი მოელის მეორესაგან. აწ ვინ შეიყვარებს და ვინ შეირთავს სახე - დამახინჯებულ ქალს? არავინ. სხვა კი არა, აწი პირიით, აქეთ რომ შემომეხვეწოს, მეც არ შევირთავ მას! — ასე ასწავლის გაკვეთილს მასწავლებელი ხიგუა მოწაფეებს, რომლებიც შიშისაგან გაშეშებული უსმენენ მას.

საკვირველია, პარტწმენდის შემდეგ ხიგუას როგორ „ჩარჩა“ ჯიბეში პარტბილეთი!

### არავინ იცის — როდის იგი სკოლაში მოდის.

ტატაშა.

**მოკნარის** (ქუთ. ოლქი) ოთხწლედის მასწავლებელ ქალს იშვიათად ნახავთ სკოლაში.

როგორც გამოირკვა მასთან გამართულ საუბრიდან, ამისი მიზეზი შემდეგი ყოფილა:

— მოგეხსენებათ, — სთქვა მასწავლებელმა ქალმა, — მზიან დარში სეირნობას არაფერი მირჩევნია. მზე ჩემში ათბობს და აღვიძებს სიყვარულის გრძნობას...

— ავდარში რატომ არ დადიხართ სკოლაში?

— ავდარში როგორ უნდა ვიარო?! ავდარში „მელოვიარეთ“ და მოწყენილი ვარ; მელანქოლია ისადგურებს ჩემს არსებაში. არაფერის ხალისი არა მაქვს. ვზივარ ბუხართან და ვერთობი კავალერებთან.

— მაშ რანაირ დარში დადიხართ სკოლაში?

— სიმართლე გითხრათ, არც მე ვიცი. თუ საშუალო დარია, წავალ, — თუ არა და, რა ვქნა! ჩემი რა ბრალია; ასეთი ჩვეულება მაქვს და, თქვენც კარგად იცით, რომ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია!

### რომ ქეიფობს ნესტორი მგონი არის დღეს სწორი.

(ბრაგუნა)

კაცი სამტრედიის აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს „ღვთის წყალობით“ და ღმერთისთვის კი ერთხელაც მადლობა არ გადაუხდია. ან და, როგორ გადაეხადა, როცა ისეთი თანამდებობა ეჭირა, რომ, პირიქით, ანტი - რელიგიური კამპანია უნდა ეწარმოებინა სოფლად.

მაგრამ, აი, ნესტორს ბინაში პატიჟობს რელიგიურ დღესასწაულის დღეს ვაჭარი, მისი ნათესავი.

ნესტორი თავისი მეუღლითურთ, ჯდება აღმასკომის ეტლში და ერთ კვირას ქეიფობს მოყვრისას.

წარმოიდგინეთ თქვენ. როცა დაითვრო ნესტორი, დაავიწყდა ღვთის წყალობა, მოაგონდა, რომ მას, როგორც აღმასკომის თავმჯდომარეს, ანტი - რელიგიური კამპანია უნდა ჩაეტარებინა... მოაგონდა და შეუტია ზეცას — იძრო ნაგანის რევოლვერი, და რაც ტყვიები ჰქონდა, სულ გაისროლა ზეცაში, ჭაერში. შეიქნა სოფელში განგაში.

გაიქცენ აღმასკომში თავმჯდომარესთან.

— სსს! დაჩუმდით. ნუ გეშინიათ... თვითონ აღმასკომის თავმჯდომარეა, რომ ქეიფობს და ისვრის!

„დამშვიდებულმა“ გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს.

## „კერძო ინტერესი“

(ბორჯომი)

— კერძო ინტერესით გამჭიმეს გაზეთში, კერძო ინტერესით. — ყველა ასე გაიძახის ბორჯომის რაიონში, ვისაც კი გაზეთში გასწერენ.

ასეთივე „კერძო ინტერესით“ მინდა „გავჭიმო“ ქვემოდმოყვანილი პირები „ტარტაროზში“.

პირველად ჩემი სალამი ბორჯომის აღმასკომის მდივანს — **გიორგი ჩიგოგიძეს,** რომელსაც არავისი ეშინია, ეხსავით სდგას. ვერაფერი დააკლეს „მსუბუქმა კავალერისტებმა“, სამსახურში მთვრალი გამოცხადდება, რაბახობს, ჩხუბობს, მუშაობის დროს სეირნობს, გვიან მოდის, ადრე მიდის... კაცია და გუნებაო... ვის რა საქმე აქვს მასთან!

ან-და კომუნალურ განყოფილების გამგე **კორნეევთან** ვის რა საქმე ჰქონდა, რომ ჩაერიენ მის შინაურ საქმიანობაში? თუ მთვრალი მოდიოდა სამსახურში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ **„მთვრალი კაცია, კაი კაცია“**, და მთხოვნელებს უფრო მხიარულად მიეგებებოდა.

**ახალაძე** გაოხრებული კაციაო... ცოლს სცემსო... კოოპერატივიდან ნაცნობებს სწყალობსო.

ან-და რა სათქმელია — კედლის გაზეთები არ გამოდისო..

ძალიან კარგია, რომ არ გამოდის, თორემ რომ გამოდიოდეს, ის იმას „გაჭიმავს“, ეს ამას და მოჰყვება ჩხუბი, აყალმაყალი... ეხლა კი ყველა ჰკვიანათ არის.

ტარკორი.

**ჟურ. „ტარტაროზი“-ს თანამშრომელთა თათბირი**

კვირას, 16 მარტს, დღის 12 საათზე, „მუშის“ რედაქციაში შესდგება „ტარტაროზის“ ტფილისელ თანამშრომელთა თათბირი

დასწრება ყველა თანამშრომელთათვის სავალდებულოა

# შ ე დ ა რ ე ბ ა

(ქუთაისი, საგზაო სამმართველო)

**გზის ოსტ. (ათის თავი)** — კაცო, რას გაჩერებულ-ხარ ამ დერეფანში?

**ათისთავი:** შიგ ისეთ აოეულია ყველაფერი, რომ ვერ შევედი, ჩემო ძმაო.

**ოსტ.:** — რა ამბავია მართლა. გუშინწინ მშენებელ კავშირის კლუბში ვუყურე მარჯანიშვილის დადგმას „კაკალ გულში“ და თვალწინ ჩვენი სამმართველო წარმომიდგა; ნამდვილად ჩვენ დაგვცინოდენ.

**ათისთავი** — სწორი შედარებაა, შენ ნუ მომიკვდები.

ვნახოთ რა იქნეს, გამგე რომ დაბრუნდება მივლინებიდან. ინჟენერ ორბელიანს რავარც მოეპრიანება, ისე მიჰყავს საქმე.

— დრო იშოვა, ბიძია, დრო, ნავარდობს კაცი. ლაქიებიც ბლომად ჰყავს შემოკრებილი.

— მართლა, რავა გაავსო სამმართველო ამ ძველ აზნაურებით: იოსელიანები, ლორთქიფანიძეები, პიპია, ტაპია, ვენე და რა ვიცი. ქე მაინც აკეთებდენ რამეს.

— პირადი ადიუტანტები—კეკუა და მარულაშვილი!..

— მაგისთანა კაცის მნახველი არა ვარ, არც კავშირის წევრია, არც აქვს გამოწერილი სესხი. წერილმან რამეზე რას გაუბედავენ. რას უშვება ნეტავ 450 მანეთს. შენგან თუ ისესხა ფული, ყინულზე უნდა დასწერო, არ გეღირსება მისი აღება.

— მაგ მაგია და მაგაზე ნაკლები არც სხვაა. ბუჰხალტერმა კოწიამ, გამგის გამგეს რომ ეძახიან, ყოველ საქმეში, ეხება თუ არ ეხება, ცხვირი უნდა ჩაყრას.

— მართლა, კაცო, ბუჰხალტერიაში შესვლის მეშინია, უკავია თამარა ლოგუას ხელში სია და ვინცხა მომქვდარა ქუთაისში თანამშრომლის ბებიის მოყვარე, იმის ვენოკისაო, და ერთ მანეთიანს გამოგაცლის ხელიდან. ეს ეხლა მგონია მეათე ამ ხანებში.

— ერთი მეორეზე უარესები არიან, ჩემო ძმაო. ალილოვს რომ რამეს მოსთხოვ, ისე გიყვირებს, რომ გულს გაგიხეთქავს.

— ყურს არავინ უგდებს, მიტომ არის ასე. ადგილკომი ჩვენ სახელად გვყავს, თვარა ჩვენი დარდიც არა აქვს. ზამთარი გავიდა, სპეცტანისამოსი არ მოგვცეს და მაგიც ორბელიანივით იძახის — იქნება, იქნებაო.

— მაგ რომ კარგი ყოფილიყო, უწინ სხვაგან იყო მესტკომათ, მარა თავისი კარგი ბიჭობისათვის დასვეს ქონიან ნიჩაფზე და...

— ყველას თავი რომ დავანებოთ, ამ ბუხრიკიძემ შეაწუხა ყველაფერი და კილო არ ითხოვეს. იანეთში ვერავის ნახავ, რომ მაგის მეველე არ იყოს.

— მაგ მაგია და ეგ ყურუმსალები შეჭამენ, შესვამენ და მერე გადახდა არ უნდათ, ისეთ დაკარგეს ნდობა, რომ ღამეს ვერსად გაათევ სოფელში.

— ეირია, ეირია ყველაფერი. ნამდვილ „კაკალ გულში“ ჩვენი სამმართველოა, თქვენ ნუ მომიკვდებით.

**ჭრიჭინა.**




**ამირანის შევარდენს ს. (ასკანა, გურია).** ჩვენ რომ ეს თქვენი წერილი შევასწოროთ ისე, რომ ის დასაბეჭდათ გამოდგეს, მაშინ თქვენს წერილიდან ავტორის გარდა არაფერი დარჩება. „პელაგია - ანუშკაზე“ უკეთ, გეტყობათ, თქვენც არ გესმის კოლექტივიზაცია. ხომ გაგიგონიათ: „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“; სწორედ თქვენზე იქთმის ეს იქმოლოება.

**ვლ. მინაშვილს (სენაკი)** „ეპოს“ ფურნეს შესახებ გვატყობინებთ, რომ:

**ხშირად ცხვება ჩვენს ფურნეში**
**უსუფთაო, ცომი პური;**
**ვარლამს-კოლას მოუხდებათ**
**აუწიოთ მაგრად ყური.**

მარტო ყურის აწევისათვის, არ ღირს ტარტაროზის მანდ ჩამოსვლა; ეს ადვილი საქმეა, „ეპოს“ გამგეობასაც არ გაუჭირდებათ ამისი შესრულება.

მეორე ადგილს იმავე ვარლამზე ამბობთ:

**თუ ნაცნობი არ ხარ მისი —**
**სახლში წახვალ ცარიელი.**
**მოკრივეა ვაჟ-ბატონი,**
**ვითა შოთას ტარიელი;**

შოთას ტარიელობა არ არის საძრახისი. მაგრამ, როგორც სჩანს, ვარლამ ჩიტაია ნინოშვილის ტარიელი უნდა იყოს.

**კვინტაძეს (ვანი, ქუთ. ოლქი)** თქვენ დეპეშით გვატყობინებთ, რომ: ადგილობრივამ მღვდლებმა გადასწყვიტეს — გაიკრიჯონ, მაგრამ, ვინაიდან გასაკრეჭი ფული არა აქვთ, შუამდგომლობა აღძრან ტარტაროზის წინაშე გასაკრეჭ ფულის გამოგზავნის შესახებო.

შეგვატყობინეთ საჩქაროდ —რამდენი გამოვაგზავნოთ ფული.

**შეწუხებულს (ს. დვაბზუ, ოზურგეთის მაზრა).** თუ, როგორც თქვენ იწერებით:

**აგვიკლო ნინა მუავიამ,**
**მუდამ ჟამს ისმის რახუნი.**
**მასთან შეხვედრა მუავეა,**
**გაღაზა ჩვენი ღლახუნი.**
**ამხედრდა მთელი სოფელი**
**— ნინაო მოგვაშორეთო.**
**ასეთი მეზობელიო**
**ჩვენგან მთის იქით, შორეთო. —**

ჰო-და, თუ მართლაც ასეა, რატომ არ მიმართავთ ადგილობრივ თემსასკომის თავმჯდომარეს — მასაც ხომ არა აქვს „ნახშირი ჭმულია“?

**მარტისას (ლანჩხუთი).** მართალია, „ტარტაროზის“ ეს ნომერიც მარტისა არის, მაგრამ თქვენი მასალა არ გამოგვადგა. წერილი გარკვეულ ხელით უნდა დასწეროთ სტრიქონების ერთმანეთზე დაშორებით.

**ტიტკას.** ჩვენი ბრალი არ არის. როცა თქვენი წერილი კონვერტიდან ამოვასხენით და წასაკითხავად გავშალეთ, ისე გრძელი აღმოჩნდა, რომ მაგიდიდან უფსკერო გოდორის ფსკერს ჩასცილდა. გოდორში მოთავსებულმა ავტორებმა უცბად დაქანეს და ჩაიტაცეს გოდორში, საიდანაც ხმა მოგვესმა:

— ამაზე უარესი არც ჩვენ ვიყავით, მაგრამ მაინც აქ გაკრევინეთ თავი. ეს ჩვენი ამფსონია და ესეც აქ იყოს ჩვენთანო.

**ტარ. კავალერს.** თქვენი წერილის ერთი ადგილი კარგია, სადაც ორი ყოფილი ადამიანი ერთმანეთს ელაპარაკება, როცა ხედავენ საძველეთა შეგროვებას:

**— ნეტავი ნაგავი მაინც ვიყო, საზღვარგარედ გამაგზავნიდენ და იქ ჩვენებთან მივიდოდი.**

**— შენ გგონია საზღვარგარედ გზავნიან ყველა ამ ნაგავ - ნუგავს? უმეტესობას აქვე ადუღებენ, ქარხნებში. ჩვენგან კი, რომც გადაგვადუღონ, მაინც არაფერი გამოვა.**

თქვენს წერილიდანაც სხვერო თუ რამ გამოვიდა, აქვე დაიბეჭდეთ, დანარჩენიდან არაფერი გამოვიდა.

**საშას.** რაღაც ისეთი ფლობაზითა თქვენი წერილი, რომ შიგ პასუხის ვასაცემი ადგილიც ვერ ვნახეთ.

**დუ-იაქეს.** მართლაც დუ-იაქეა თქვენი წერილი. გოდორში კი გადავაგზავნეთ, მაგრამ, მოსალოდნელია — იქაც არ მიიღონ და სთქვან: — ეს რა ამდი - უბდა და ჩმახვა გამოუგზავნია ტარტაროზსო

Библиотека-Музей

# უცხოელი ჩვენში




ვარჯიშობენ რაღა! ჩვენ კი სხვანაირად გვესმის ქალთა გათანასწორება.

რედაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა; საქ. პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1312